# გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს!


ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 26 მაისი, 2017 №123 (7358) ფასი: 50 თეთრი


## „ბიძინა ივანიშვილის დაწყებულ რეფორმას „ქართული ოცნება“ აუქმებს“



გვ.5


**25 მაისიდან**

ოქროს ბიბლიოთეკა

თეოდორ დრაიზერი

**ამერიკული ტრაგედია**

ნაწილი 2



ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი


# „ქართულ ოცნებაში“ ერთმანეთს დედა აგინეს“



ლადო სადღობელაშვილი: „კობახიძე ივანიშვილს მაღლაფერიძემ მიუყვანა“

გვ.2

„უმრავლესობაში 5 დაჯგუფებაა – კვირიკაშვილის, კობახიძის, კალაძის, მაჟორიტარებისა და „ოცნების“ ბებერი „სასტავი“



„ცოტა ხანში ხელისუფლების წევრები ერთმანეთს კომპრომატებს გამოუქვეყნებენ“

## „გიორგი კვირიკაშვილს პოლიტიკური განცხადებების გაკეთება აკრძალული აქვს“

ბეჟან ნათელაშვილი: „პოლიტიკურმა ბლოკებმა დაღუპეს ეს ქვეყანა“

გვ.2



## ადვოკატი ნესტან ლონდარიძე: „ნინო კუზანოვასთან ბევრი კითხვა გვაქვს“



გვ.3



„ნინო კუზანოვამ თუ იცოდა, რომ „ლანცეტში“ მძიმე მდგომარეობა იყო, რატომ უწევდა კლინიკას რეკლამირებას?!“



## იაპონელი ექსპერტები აშშ-რუსეთის შეჯახებას პროგნოზირებენ

ამერიკული პრესა: „2008 წელს საქართველოში რუსეთის შეჭრა მისი ექსპანსიონისტური პოლიტიკის შედეგია“

გვ.4

## ქონების გადამალვის ფაქტზე 16 საწარმოს 17 ხელმძღვანელი პირი პასუხისგებაში მისცეს

გვ.5




ISSN 1987-9385



გვ.6

## უმუშევრობის დონემ ბოლო 13 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია

## თბილისის ყველაზე ძვირადღირებული ქუჩები



გვ.6

# „გიორგი კვირიკაშვილს პოლიტიკური განცხადებების გაკეთება აკრძალული აქვს“

შორენა მარსაგიშვილი

**აპირებს თუ არა შალვა ნათელაშვილი თბილისის მერობისთვის ბრძოლას, რას ფიქრობენ ლეიბორისტები ოპოზიციის გაერთიანებაზე, რატომ არ აღებინებენ ხმას გიორგი კვირიკაშვილს? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ლეიბორისტული პარტიის გენერალური საბჭოს წევრი ბეჟან ნათელაშვილი ესაუბრება.**

**ბეჟან ნათელაშვილი:**

– მსოფლიოში, საქართველოს გარდა, ვერ დამისახელებთ ვერცერთ ქვეყანას, სადაც პრემიერ-მინისტრს პოლიტიკური განცხადებების გაკეთება აკრძალული აქვს. ერთადერთი კაცი ამ ქვეყანაში, რომელსაც რაიმე გადაწყვეტილების მიღება შეუძლია, ბიძინა ივანიშვილია.

რატომღაც ითვლება, რომ ეს ადამიანი ქვეყნის მართვას 2012 წლის 1 ოქტომბრიდან შეუდგა. სინამდვილეში ბევრად ადრე დაიწყო პროცესების მართვა. ის მითითებებს აძლევდა როგორც სააკაშვილის, ასევე შევარდნაძის ხელისუფლებებს. ერთი ბელადიც და მეორეც ივანიშვილის დავალებების შემსრულებლები იყვნენ.

სიმართლე თუ გინდათ, მის ფულებს სცემდნენ პატივს. წინააღმდეგ



შემთხვევაში, მას გამარჯობასაც არავინ ეტყოდა.

***– ამბობთ, რომ კვირიკაშვილს განცხადებების გაკეთება აკრძალული აქვს. საამისოდ რაიმე მიზეზი აქვს ივანიშვილს? ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერის რანგში ბევრად აქტიური იყო.***

## ბეჟან ნათელაშვილი: „პოლიტიკურმა ბლოკებმა დაღუპეს ეს ქვეყანა“

– აქტიური რომ იყო, ამიტომაც დარჩა თანამდებობის მიღმა. ივანიშვილმა მას ერთი წვეთი თავისუფლებაც კი არ აპატია და მართვის სადავეებს ფორმალურადაც ჩამოაცილა. კვირიკაშვილმა იცის ამის შესახებ და ამიტომაც დუმს.

ირაკლი კობახიძემ დაიწყო რაღაც ფაფხური, მაგრამ ყველაფერი ივანიშვილთან აქვს შეთანხმებული. ამ ახალგაზრდამ თქვა, რუსეთუმეების ადგილი ჩვენს გუნდში არ არისო. ამით დასავლეთს თავი მოაჩვენეს, რუსეთს ვერ ვიტანთო, სინამდვილეში მოსკოვის საქმეს აკეთებენ. ეს ყველაფრიდან ჩანს.

„ოცნება“ რუსეთს რომ უპირისპირდებოდეს, შიდა ქართლსა და სამეგრელოში, სადაც საოკუპაციო ხაზი გადის, სადღელამისო მორიგეობას დააწესებდნენ. რუსები ყოველდღე სწევენ საზღვარს და ამაზე ხმას არავინ იღებს.

***– საოკუპაციო ზოლთან „ოცნების“ მორიგეობა რას მოგვცემს?***

– როცა იქ ხელისუფლების წარმომადგენელი იქნებოდა, რუსი ასე იოლად ველარ გადმოსწევდა საზღვარს. ამათ იქ დგომა კი არა, მავთულხლართების აღმართვის გაპროტესტებაც არ უნდათ. არადა, საქართველო ნელ-ნელა პატარავდება. „ქართულ ოცნებას“ ამასთან დაკავშირებით ერთი სერიოზული განცხადებაც კი არ აქვს გაკეთებული.

სწორედ „ქართული ოცნების“ დამსახურებაა, რომ ევროკავშირის წარმომადგენელმა სამხრეთ ოსეთი ლამის დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარა.

***– თქვენ ზალბერის განცხადება გაქვთ მხედველობაში?***

– მაგის განცხადებაზე მოგახსენებთ,. ამ კაცმა ლამის სრულფასოვან პარტნიორად გაიხადა ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება. ამაზე ჩვენს საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხიც კი არ გაუცია, ისე გაატარეს, ვითომც აქ არაფერიო. ესეც ივანიშვილის მითითებით გაკეთდა.

საერთოდ, ეს კაცი მართავს ყველაფერს და ოპოზიციამ მის შესაჩერებლად რაღაცა უნდა ვიღონოთ.

***– ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ ლეიბორისტები რომელიმე პარტიასთან აპირებთ გაერთიანებას?***

– არანაირი გაერთიანება. თემატური თანამშრომლობისთვის მზად ვართ, მაგრამ გაერთიანება გამორიცხულია. ჩვენ არ ვაპირებთ არჩეული გზიდან გადახვევას და არავითარ შემთხვევაში არ ავითქვიფებით პოლიტიკურ აჯაფსანდალში. ქვეყანა რომ დაღუპვის გზაზეა, ეს საარჩევნო ბლოკებისა და ალიანსების ბრალია.

არ შეიძლება, გაერთიანებები მოხდეს იმისთვის, რომ პარლამენტსა და საკრებულოებში დეპუტატები გაიყვანონ, დაფინანსება მიიღონ და შემდეგ დაიშალონ. საქართველოში ჯერ არ მომხდარა ისეთი გაერთიანება, რომელიც პოლიტიკურ მაფიას დაამარცხებს. „ქართულ ოცნებას“ სააკაშვილი არ დაუმარცხებია. ეს იყო გარიგება. გახსოვთ, ალბათ, როგორ გვაბრალებდნენ მათთან ალიანსს. სინამდვილეში თავად ჩაეხუტნენ ერთმანეთს და ერთად ანგრევენ ჩვენს ქვეყანას.

ევროპაში ბლოკებს დიდად არ სწყალობენ. ეს დრო ჩვენთანაც უნდა დასრულდეს. ისევე, როგორც ევროპაში, აქაც პარტიული მმართველობა უნდა იყოს. ჩვენ ეს ვერაფრით გავითავისეთ. პარტიები უნდა გავაძლიეროთ და ისინი მოღალატე დეპუტატებისგან დავიცვათ.

ჩვენი აზრით, საარჩევნო კოდექსში უნდა ჩაიწეროს, რომ პოლიტიკოსებს, რომლებსაც პარლამენტში ან საკრებულოში პარტია გაიყვანს, აეკრძალოთ მისი დატოვება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მან მანდატი უნდა დატოვოს.

***– ეს ამ ადამიანის უფლებების დარღვევა არ იქნება?***

– არ იქნება. ამით ჩვენ დავიცავთ ამომრჩევლის უფლებებს. ეს აკრძალვა თუ დაწესდება, დეპუტატის უფლება რატომ დაირღვევა? მას თავისუფლად შეუძლია პარტიის დატოვება, ოღონდ პარტიასთან ერთად მანდატიც უნდა დათმოს. ასე ყველა პარტიას დავიცავთ მოღალატეებისგან და პარტიებიც გაძლიერდება.

***– ერთ-ერთი ვერსიით, თქვენი პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა, შესაძლოა, თბილისის მერად იყაროს კენჭი. რას იტყვით ამის შესახებ?***

– ეს ჭორი მეც გამიგია. ბატონი შალვა თბილისის მერად არ იყრის კენჭს. მიმაჩნია, რომ პოლიტიკური ლიდერები სამეურნეო თანამდებობებზე არ უნდა მოცდნენ.

# „ქართულ ოცნებაში“ ერთმანეთს დედა აგინეს“

## „უმრავლესობაში 5 დაჯგუფებაა – კვირიკაშვილის, კობახიძის, კალაძის, მაჟორიტარებისფ და „ოცნების“ ბებერი „სასტავი“

შორენა მარსაგიშვილი

**რა ხდება „ოცნების“ კულუარებში, რას ვერ იყოფს „ოცნება“, ვის წინააღმდეგ იგეგმება კომპრომატების გამოქვეყნება, რა სასჯელი დაადეს კობახიძეს? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ პატრიოტთა ალიანსის წევრი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.**

**ლადო სადღობელაშვილი:**

– „ქართულ ოცნებაში“ კარგა ხანია, სერიოზული უთანხმოებაა, რომელიც ირაკლი კობახიძესთან დაკავშირებული ინციდენტის შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბა. ეს კაცი 10 დღით ქვეყნიდანაც კი გააძევეს. რამდენადაც მე მაქვს ინფორმაცია, თავიდან 3-თვიან სასჯელზე იყო საუბარი – ეს დრო უნდა გაეტარებინა საზღვარგარეთ, მერე შეიწყალეს, მაგრამ მოსთხოვეს, ნაკლებად იაქტიუროს.

აქტიურობას ვინ ჩივის, ამ ახალგაზრდას საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაზეც კი აღარ აწვდიან ინფორმაციას. მოგეხსენებათ, ის ახლა ბერლინშია. იმ დღეს მას ჟურნალისტმა დაუსვა კითხვა, თუ რა ხდებოდა მიწის გასხვისებასთან დაკავშირებით. მან თქვა, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილი არ არის. ამ დროს დეპუტატებმა ირაკლი სესიაშვილმა, ანრი ოხანაშვილმა და ზაზა გაბუნიამ განაცხადეს, მიწა უცხოელებზე არ გასხვისდებაო.

დღეს ირაკლი კობახიძე, ფაქტობრივად, მოტეხილია, მაგრამ ეს ამბავი ასე მარტივად არ დასრულდება. ამას დიდი და ხმაურიანი გაგრძელება მოჰყვება.

პარლამენტის სპიკერი ვასილ მაღლაფერიძისა და სოზარ სუბარის კადრია. ერთ დაჯგუფებას წარმოადგენენ, რომელიც ცოტა ხნის წინ რაღაც დოზით შეკრული იყო კალაძესთან. ამასობაში ზოგიერთებს თბილისის საკრებულოში გუნდის გაყვანისა და მერის მოადგილეების დანიშვნის ამბიციები გაუჩნდათ, რამაც ვითარება დაძაბა.

***– ვის გაუჩნდა ეს ამბიციები?***

– სუბარისა და მაღლაფერიძის ჯგუფს. მათ წარმომადგენელ ირაკლი კობახიძეს პარლამენტში თავისი გუნდი ჰყავს. მათაც თავიანთი ამბიციები და პრეტენზიები აქვთ. საკრებულოში მყოფი ადამიანებიც თავიანთ პირობებს აყენებენ. „ოცნებაში“ ერთმანეთის სერიოზული დაჭმა მიდის. წინ ძალიან ცხელი ზაფხული გველოდება. საპარლამენტო არჩევნებისთვის შედარებით შეკრულები იყვნენ. ახლა სხვა ვითარებაა და ერთმანეთზე კომპრომატებს გამოყრიან.

ხომ ამბობს „ოცნება“, კალაძეა ჩვენი მერობის კანდიდატიო. ახლა ნახეთ, რა დღეს დააყრის მას კობახიძის,



ლადო სადღობელაშვილი: „კობახიძე ივანიშვილს მაღლაფერიძემ მიუყვანა“

მაღლაფერიძისა და სუბარის დაჯგუფება.

***– რა დღე უნდა აყარონ? ზემოთ ხომ თქვით, კალაძესთან იყვნენ დაახლოებულიო, თანაც, როგორც ამბობენ, კობახიძე კალაძემ მიიყვანა „ოცნებაში“.***

– არა, არა. პარლამენტის სპიკერი „ოცნებაში“ მაღლაფერიძემ მიიყვანა. ბიძინას უთხრა: აი, რა კარგი ბავშვია, გერმანიაში აქვს განათლება მიღებულიო. ამ მაღლაფერიძეს მაგრად არ აწყობდა ღარიბაშვილის პრემიერობა და ამიტომ შეეკვრნენ კალაძეს.

ღარიბაშვილის მოშორების შემ-



„ცოტა ხანში ხელისუფლების წევრები ერთმანეთს კომპრომატებს გამოუქვეყნებენ“

დეგ მათ შორისაც მოხდა განხეთქილება. ისინი მერის მოადგილეებსა და საკრებულოს მანდატებს ვერ იყოფენ. იმასაც კარგად ხვდებიან, რომ თბილისში 50%-ის აღება გაუჭირდებათ და არის წეწვა-გლეჯა.

კონსტიტუციის განხილვამ გუნდში კიდევ უფრო მეტი ბზარი გააჩინა. უმრავლესობაში არსებული დაჯგუფებები თითქმის ყველა საკითხზე უპირისპირდებიან ერთმანეთს.

შიდა კულუარებიდან ვიცი, ისეთ დღეში არიან, ერთმანეთს დედას აგინებენ. ასეთ დედის გინებას სულ ახლახან ჰქონდა ადგილი. ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, უფრო ამ წლის ბოლოსკენ, „ოცნება“ ნაცმოძრაობასავით დაიშლება. ამის წინაპირობა არსებობს. საპარლამენტო უმრავლესობაში არსებული დაჯგუფებები ერთმანეთს დიდხანს ვერ აიტანენ.

***– რამდენი დაჯგუფებაა უმრავლესობაში?***

– სულ მცირე, ხუთი. კვირიკაშვილის, კობახიძის, კალაძის, მაჟორიტარებისა და „ოცნების“ ბებერი „სასტავი“. ეს ბებრები კობახიძისნაირ ტიპებს ვერ იტანენ. სხდომებზე ერთმანეთს ზურგს აქცევენ და გამარჯობასაც კი არ ეუბნებიან.

მე ძალიან კარგად მესმის იმ ადამიანების, რომლებიც ნაციონალებს 2006 წლიდან აგინებენ დედას. მათ გუნდში ძალიან უჭირთ იმ ადამიანების ატანა, რომლებიც ნაცმოძრაობას 2012 წლის მერე გაემიჯნნენ და დღემდე მათ უგორებენ კოჭებს.

საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, კალაძეს საარჩევნო სიის დაკომპლექტებაზე დიდი გავლენა აღარ ექნება.

***– რადგან მერობის კანდიდატი იქნება?***

– სხვა მიზეზია. საპარლამენტო არჩევნებში „ოცნება“ მისი ფულით დაფინანსდა, შესაბამისად, თავისი ხალხიც ბლომად გაიყვანა. ახლა თავის თავს დააფინანსებს მარტო. ოღონდ, ის ვერ გავიგე, რა ჯანდაბად უნდა მას ეს თანამდებობა. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, მერი თუ გახდა, 4 წელიწადში დაასრულებს თავის პოლიტიკურ კარიერას.

ჯერ კანდიდატადაც კი არ დაუსახელებიათ და უკვე წინამორბედს უპირისპირდება. 2 დღის წინ გამოვიდა და თქვა, ყველაფერს ფერფლიდან აღვადგენო. აზრზე ხართ, ტიპმა ვიცეპრემიერობა არ იკმარა და სფინქსობა მოინდომა. მაგაზე ისედაც აღრენილები არიან და ახლა ნახეთ, რასაც უზამენ. ყველა სიკეთესთან ერთად, პრორუსულობის იარლიყსაც მიიწებებს, რაც გაზპრომთან ჩახუტების შემდეგ უსაფუძვლო ნამდვილად არ არის.

როგორც უკვე გითხარით, წინ ცხელი ზაფხული გველოდება. შემოდგომა, შესაძლოა, კიდევ უფრო უარესი იყოს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ადვოკატი ნესტან ლონდარიძე: „ნინო კუზანოვასთან ბევრი კითხვა გვაქვს“

## „ნინო კუზანოვამ თუ იცოდა, რომ „ლანცეტში“ მძიმე მდგომარეობა იყო, რატომ უწევდა კლინიკას რეკლამირებას?!“




ნონა ცაბაძე

**კლინიკა „ლანცეტის“ ირგვლივ ატეხილი სკანდალი აქტუალურობას არ კარგავს. საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, რომ კლინიკის დირექტორ ფარმან ჟეირანლის სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა. „ახალი თაობა“ 25 მაისის ნომერში უკვე წერდა აღნიშნულ თემაზე, სადაც მკითხველს დაკავებულის ადვოკატისა და კლინიკის იმდროინდელი მთავარი ექიმის ნინო კუზანოვას პოზიცია გავაცანით. „ახალი თაობა“ დაზარალებულების ინტერესების დამცველს, გარდაცვლილი გიორგი ჩუბინიძისა და კარლო კეკელიძის ოჯახების ადვოკატს, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტ ნესტან ლონდარიძეს ესაუბრა.**

***— ნესტან, სულ სხვადასხვაგვარი განცხადებები მოვისმინეთ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. გარდაცვლილი კეკელიძის მეუღლე ნინო კუზანოვას ადანაშაულებს, კუზანოვამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ვერ ხვდება, რას ედავებიან და საერთოდ არაფერ შუაშია. თქვენ დაზარალებული ოჯახების ინტერესებს იცავთ. მივყვეთ თავიდან, როდის მოგმართეს, რა მასალები მოიძიეთ და როგორია თქვენი პოზიცია ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

— მოგახსენებთ დეტალურად. ჩვენს ორგანიზაციას დაზარალებულებმა მომართეს ჯერ კიდევ 2016 წლის მაისში. მე გავეცანი ყველა დოკუმენტაციას და ჩემთვის, როგორც იურისტისთვის, თავიდანვე ნათელი იყო, რომ აქ მარტო ერთი დარღვევა კი არა, დარღვევების მთელი ჯაჭვი იყო და დანაშაულამდეც მივდიოდით.

***— უფრო კონკრეტულად, რა დარღვევებზეა საუბარი?***

— პირველ რიგში, მტკიცებულებების სახით რომ მქონოდა, მე შევეცადე დამედასტურებინა ეს ყოველივე და მივმართე სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, გადავეცი დოკუმენტაცია, ვთხოვე, შეესწავლათ ეს საქმე და დაედოთ შესაბამისი დასკვნა.

სწორედ მათი დასკვნის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ არცერთ ექიმს, რომლებმაც განახორციელეს ოპერაცია, არ ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო სერტიფიკატი არცერთ საექიმო სპეციალობაში და უფრო მეტიც, არცერთი ეს ოპერაცია არ იყო შეთანხმებული ტრანსპლანტაციის საბჭოსთან, რომლის ნებართვაც აუცილებლობას წარმოადგენდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

***— ეს მხოლოდ სერიოზული დარღვევაა თუ დანაშაულიც?***

— ეს უკანონო სამედიცინო საქმიანობაა, რომელსაც ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა მოჰყვა. თანაც ორი მსგავსი შემთხვევა იყო.

***— ამბობენ, რომ ქირურგი, რომელმაც ოპერაცია ჩაატარა, საკმაოდ ცნობილი, სახელგანთქმული ტრანსპანტოლოგია, უბრალოდ, წყვეტა ჰქონდა, ლიცენზიას ვადა გაუვიდა და ახალი ლიცენზიის მოლოდინში იყო, თუმცა ჯანდაცვის სამინისტრომ ოპერაციის ჩატარების ნებართვა მისცა. ასე არ ყოფილა?***

— ეს დოკუმენტაცია მე ხელთ არ მაქვს, არ ვიცი, რა ნებართვა გასცა ჯანდაცვის სამინისტრომ. მე მაქვს რეგულირების სააგენტოს პასუხი, რომ ამ პერიოდში მათ არ ჰქონდათ ლიცენზია! ის, რომ იქამდე ჰქონდათ და წყვეტა ჰქონდათ, არაფერს ცვლის.

აქ მთავარი გარემოება გახლავთ ის, რომ ორი ოპერაციის ჩატარების დროისთვის მათ არ გააჩნდათ სერტიფიკატი არცერთ საექიმო სპეციალობაში და ეს ძალიან მნიშვნელოვანია! თუკი წყვეტა იყო და ისინი სერტიფიკატის აღების მოლოდინში იყვნენ, მათ შეეძლოთ, მოეთხოვათ ერთჯერადი, დროებითი სერტიფიკატი ამ კონკრეტული ოპერაციისთვის, რაც არ ყოფილა.

მათ ძალიან ბევრი შესაძლებლობა ჰქონდათ, რომ კანონის ფარგლებში მოექციათ ამ ოპერაციების წარმოება, რაც მათი მხრივ არ განხორციელებულა.

***— ანუ ბევრ დარღვევას წააწყდით?***

— არაერთს. დარღვევების ჩამონათვალი ძალიან ბევრია. ავიღოთ თანხის გადახდის კუთხით. ერთ-ერთ დაზარალებულთან, გარდაცვლილ გიორგი ჩუბინიძესთან, მათ გააფორმეს ვალის აღიარების ხელშეკრულება, სადაც საერთოდ არ არის „ლანცეტი“ მითითებული და ის არის კერძო პირთან, ვინმე იურისტთან გაფორმებული ხელშეკრულება. დარღვევა არაერთია „ლანცეტის“ საქმიანობაში.




***— პროკურატურას თქვენ მიმართეთ?***

— სწორედ ამის გამო, როდესაც ეს დოკუმენტაცია მე უკვე ხელში მეკავა, მივმართე საქართველოს მთავარ პროკურატურას, ვითხოვე საქმის კონკრეტულად შესწავლა და დამნაშავეების გამოვლენა. საქმეს უკვე თბილისის პროკურატურა იძიებს. რამდენიმეთვიანი გულითადი მუშაობის შედეგია ის, რომ დღეს უკვე გამოკვეთილი არიან სავარაუდო დამნაშავე პირები.

***— ჩვენ მეორე მხარის შეფასებებიც მოვისმინეთ, რომ ორივე პაციენტი იყო მძიმე ავადმყოფი, მათი დღეები დათვლილი იყო, რომ ისინი მაშინვე დათანხმდნენ ტრანსპლანტაციას. ნინო კუზანოვამაც განაცხადა, რომ თუკი წარუმატებლად ჩატარდებოდა ოპერაცია, მაშინ ორივე პაციენტი მაგიდაზე უნდა დარჩენილიყო. ერთმა 7 დღე იცოცხლა, მეორემ — 10.***

— მათი ადვოკატების განცხადებები ვერ იქნება საფუძვლიანი, იქიდან გამომდინარე, რომ ეს ადვოკატები, პირველ რიგში, გასული იყვნენ აღკვეთის ღონისძიებაზე და თუნდაც მათი განცხადება ჩემთვის ცოტა გასაოცარი იყო, ვერც კი წარმოვიდგენდი, ამგვარი განცხადებები თუ გაკეთდებოდა. თურმე 100 ათას ლარიანი გირაო იმიტომ შესთავაზეს, რომ ეს რამდენჯერმე აღემატება იმ თანხას, რომელსაც პროკურატურა ედავება. ასეთ მძიმე შემთხვევებთან რომ არ გვქონდეს საქმე, ეს ჩემთვის სასაცილოც იქნებოდა.

ადამიანის სიცოცხლის ხელყოფაზე ვსაუბრობთ და 40 ათას დოლარზე თითოეულის შემთხვევაში. ასე რომ, ასეთი შეფასება ცინიკური უფროა, ვიდრე რეალური. რაც შეეხება ნინო კუზანოვას, ადამიანის უფლებათა ცენტრის პოზიცია გახლავთ ის, რომ მე მას არ ვადანაშაულებ, უდანაშაულობის პრეზუმფციას ნამდვილად არ ვარღვევ, მე ვარ ადვოკატი. აქედან გამომდინარე, მე არ ვამბობ, რომ ნინო კუზანოვა არის დამნაშავე.

***— მას ადანაშაულებს გარდაცვლილი კარლო კეკელიძის მეუღლე.***

— გარდაცვლილის მეუღლეც არ საუბრობს მტკიცებით ფორმაში, რომ უეჭველად ის არის დამნაშავე. გამოძიებას იმიტომ მივმართეთ, რომ ეს პირები უნდა გამოკვეთოს გამოძიებამ. ჩვენ, უბრალოდ, ძალიან ბევრი კითხვა დაგვიგროვდა კლინიკის იმდროინდელ მთავარ ექიმთან.

***— ანუ ნინო კუზანოვასთან?***

— სწორედ ნინო კუზანოვასთან და კითხვა ძალიან ბევრია.

***— კერძოდ, რაში მდგომარეობს ეს კითხვები?***

— კითხვა მდგომარეობს იმაში, რომ კლინიკის მთავარი ექიმი როდესაც ხარ და როდესაც ამ ტრანსპლანტაციის ოპერაციას ასეთი დონით უწევ რეკლამირებას და როდესაც ქალბატონი ნინო აცხადებს, რომ დირექციამ ის ჩამოაცილა საერთოდ მთელ პროცედურებს, დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა და არ მაცნობდა, რა ვითარება იყო ამ კუთხითო, მე ვკითხულობ — თუ არ იცოდა, ნანახი თუ არ ჰქონდა ეს სერტიფიკატები და მით უმეტეს იცოდა, რომ ასეთი მდგომარეობა იყო, რატომ უწევდა კლინიკას რეკლამირებას?! დაზარალებულებს, თავად მათი ოჯახის წევრებს რატომ ეუბნებოდა, ყველაფერი რიგზეა და თქვენ დიდი შანსი მოგეცათ ამ ოპერაციებით, იმიტომ, რომ ასეთი დონის სპეციალისტები უკეთებენ ოპერაციას, ჩათვალეთ, რომ უცხოეთში იკეთებთ ოპერაციასო?!

და კიდევ ყველაზე მთავარი — რატომ არ მიმართა კუზანოვამ სამართალდამცავ ორგანოებს, თუ ის ჩამოშორებული ჰყავდათ ამ პროცედურებისგან და იცოდა, რომ ეს ხდებოდა, ან მაშინვე რატომ არ დატოვა თანამდებობა?!

ჩვენ ვსაუბრობთ კლინიკის მთავარ ექიმზე! ნინო კუზანოვას შეიძლება ეკავა ორი თანამდებობა, ერთი — კარდიოლოგი და მეორე იყო მთავარი. არანაირი კითხვა და პრეტენზია არ გამაჩნია ნინოსთან, როგორც კარდიოლოგთან, მე ვსაუბრობ კლინიკის მთავარ ექიმზე.

***— ნინო კუზანოვა აცხადებს, რომ არ შეეძლო მათთვის კონსულტაციების გაწევა ღვიძლის ტრანსპლანტაციაში, რადგან კარდიოლოგია. ამ კუთხით გავუწიე კონსულტაცია და მას გულის მხრივ არც ჰქონია პრობლემებიო.***

— თქვენ შეგიძლიათ ნახოთ 2016 წლის, აი, ამ ოპერაციების ჩატარების წინა პერიოდში ჯიდიესის ეთერში გასული სიუჟეტი, სადაც ამ ჯგუფის ერთ-ერთი ექიმი და ნინო კუზანოვა ერთად აკეთებენ რეკლამირებას, რომ საქართველოსთვის დიდი მიღწევაა ასეთი ექიმების მოწვევა და უფრო მეტიც, მეორე თუ მესამე დღე იყო გასული ოპერაციებიდან და კარლო კეკელიძეს აჩვენებენ ეთერში, როგორც ერთ-ერთი წარმატებული ოპერაციის პაციენტს, რომელიც შემდეგ რამდენიმე დღეში გარდაიცვალა და ამბობენ, რომ ამ პაციენტებმა ამერიკიდან ჩამოაკითხეს საქართველოს.

ეს ტყუილია! არასოდეს კარლო კეკელიძეს არ უცხოვრია ამერიკაში და არც ამერიკის მოქალაქე არ ყოფილა! ნინო კუზანოვამ ისიც კი განაცხადა, რომ თურმე კარლო კეკელიძის ოჯახი ცხოვრობდა „ლანცეტის“ სასტუმროში, რაც ასევე ტყუილია და არასოდეს მათ ოჯახს არ უცხოვრია ამ სასტუმროში!

***— ნინო კუზანოვამ ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ეს პაციენტები მოჰყვნენ ამ სახელგანთქმულ ქირურგს, რომელსაც ოპერაცია უნდა გაეკეთებინა, მიზანმიმართულად ჩვენს კლინიკაში არ მოსულანო.***

— ვერ გავიგე, ამით რის თქმა უნდა. რეკლამირება რომ კეთდებოდა „ლანცეტში“, რომ ასეთი ქირურგები ჩამოდიოდნენ, ორივე ამ ოჯახმა მიაკითხა „ლანცეტს“ მხოლოდ კონსულტაციისთვის, მათ არ მიუკითხავთ კლინიკისთვის, რომ უნდა ჩაეტარებინათ ტრანსპლანტაციის ოპერაცია, რადგან ერთ-ერთი, გიორგი ჩუბინიძე, ესპანეთში გადიოდა მკურნალობას და იქ ექიმების დასკვნა არსებობდა, რომ მას არ სჭირდებოდა ოპერაციის გაკეთება, უბრალოდ, საჭირო იყო, ყოველ ექვს თვეში გადაკონტროლება მომხდარიყო, კლინიკა „ლანცეტში“ კი დაარწმუნეს, რომ მათ ფიქრის დროც კი არ ჰქონდათ და განუმარტეს ისიც, რომ ესპანეთში რომ გადაფრენილიყო, ესეც არ შეიძლებოდა, რადგან ოჯახმა გამოთქვა სურვილი, ესპანეთში წასულიყვნენ და იქ გაეკეთებინათ ოპერაცია. მგზავრობასაც ვერ გაუძლებსო, დაარწმუნეს, რომ ამის დროც არ იყო.

***— ეს ჩვენთან საუბარშიც თქვეს, რომ დღეები წყვეტდა მათ ბედს, ორივე უმძიმესი პაციენტი იყო და ისინიც უყოყმანოდ დათანხმდნენ ოპერაციასო. არც ეს შეეფერება სიმართლეს?***

— ესეც არასწორია. ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვებია. ასეთი მდგომარეობა ნამდვილად არ ჰქონდათ. ასევე საინტერესოა ერთი ფაქტი — როდესაც სამედიცინო ისტორია ყალიბდება, იქ არის მთელი დაავადებების ჩამონათვალი, რაც არ აღენიშნებოდათ ამ პაციენტებს და ოჯახის წევრების კითხვაზე, რატომ იყო ასეთი დიაგნოზები მითითებული, ექიმების განმარტება იყო „ლანცეტიდან“, რომ ასე ხდება, ისტორიას ასე ავსებენ და ეს ჩვეულებრივი მომენტია.

***— ანუ ისტორიებიც გაყალბებულია?***

— დიახ, პაციენტების ისტორიებიც გაყალბებულია! ამ საქმეებში ძალიან ბევრი დარღვევაა, მიმდინარეობს გამოძიება და, დიდი იმედი მაქვს, რომ გამოავლენს დამნაშავე პირებს.

***— ნესტან, არავინ საუბრობს ქირურგზე, ტრანსპანტოლოგზე, რომელმაც ეს ოპერაციები ჩაატარა. მისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება? ამ კუთხით რა ხდება?***

— მე ყოველთვის ვამბობ ასეთ რამეს, რომ გამოძიება მიმდინარეობს და სწორედ გამოძიების პრეროგატივაა დაადგინოს, კონკრეტულად რომელი პირების დამნაშავეობა იკვეთება ამ საქმეში! მე ვერ ვიტყვი, რომელი ექიმია დამნაშავე და რომელი — არა. ჩემი პოზიცია გახლავთ და სწორედ ამისთვის მივმართე პროკურატურას, რომ დაისაჯოს ყველა ის პირი, რომლებსაც ჰქონდათ შეხება ამ უკანონო ოპერაციებთან!

***— კლინიკის დირექტორი უკვე დაკავებულია და კეთდება შეფასებებიც, რომ ვიღაცას მისთვის ბიზნესის წართმევა სურს.***

— რატომღაც ყოველთვის ასეთ ინტერპრეტაციას აძლევენ, როცა ვინმეს დაკავება ხდება, თუმცა ჩვენ სახეზე გვყავს ორი დაზარალებული ოჯახი, ორი გარდაცვლილი ადამიანი, მით უმეტეს, რომ ორივე გარდაიცვალა ოპერაციის ჩატარებიდან რამდენიმე დღეში. მეხუთე დღეს ორივე გარდაცვლილი იყო. ერთი და იგივე სიმპტომები აღენიშნებოდა ორივეს, სისხლდენა დაეწყოთ ყველა ლორწოვანი გარსიდან.

***— ანუ ეს ოპერაციები თავიდანვე წარუმატებლად ჩატარდა?***

— დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავიდანვე იყო წარუმატებელი. თუ ეს ორი ადამიანი საოპერაციო მაგიდაზე დარჩებოდა, ალბათ, ცოტა სხვა რაღაცასთან გვექნებოდა საქმე.

მესამე ადამიანიც არსებობდა, რომლის ვინაობას დღეს ვერ დავასახელებ, ასეთი რამ არ შეიძლება იურიდიულად. სწორედ ამ მესამე პირს ჰქონდა ყველაზე მძიმე მდგომარეობა და მასაც ამ ორი ოპერაციის შემდეგ უნდა გაეკეთებინა ტრანსპლანტაციის ოპერაცია, თუმცა ამ წარუმატებელი ოპერაციების შემდეგ ეს პირი წამოვიდა „ლანცეტიდან“ და სრულიად სხვაგან, ბათუმში გაიკეთა ეს ოპერაცია, რომელმაც საკმაოდ წარმატებით ჩაიარა და ეს ადამიანი თავს ძალიან კარგად გრძნობს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

მარიამ მჭედლიშვილი

# იაპონელი ექსპერტები აშშ-რუსეთის შეჯახებას პროგნოზირებენ

## ამერიკული პრესა: „2008 წელს საქართველოში რუსეთის შეჭრა მისი ექსპანსიონისტური პოლიტიკის შედეგია“

**ამერიკა-რუსეთს შორის ღია მოსალოდნელ კონფლიქტზე იაპონელი ექსპერტებიც ალაპარაკდნენ. მათი აზრით, ამის ერთ-ერთი საბაბი შეიძლება გახდეს აშშ-ის დაპირისპირება ჩრდილოეთ კორეის რეჟიმთან, ასევე – სირიაში შექმნილი ვითარება. იაპონელი სპეციალისტების აზრით, არსებობს იმის ალბათობა, რომ ამერიკულ სარაკეტო დარტყმებს სირიაში ამერიკა-რუსეთის შეჯახება მოჰყვეს. არის საფრთხე, რომ ის ფართომასშტაბიან კონფლიქტში გადაიზარდოს.**



იაპონელი ექსპერტების სიტყვებით, რუსეთი სირიაში ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლის მომიზეზებით შეიჭრა, მანამდე კი პუტინმა მოიპარა ყირიმი და გააჩაღა ომი უკრაინაში.

— აშშ-ის ანტაგონიზმი კრემლთან გარდაუვალია, — ასკვნის იაპონური მედია.

ამერიკელი ანალიტიკოსები არ ეთანხმებიან პრეზიდენტ ტრამპის განცხადებას იმის შესახებ, რომ რუსეთის აგრესიულობა წინა წლებში ბარაქ ობამას სისუსტის ბრალი იყო. მათი თქმით, რუსეთი საქართველოში 2008 წელს ანუ ბუში-უმცროსის პრეზიდენტობისას შეიჭრა. ეს ნაბიჯი რუსეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკის შედეგია და არა აშშ-ის რომელიმე პრეზიდენტის სისუსტის ბრალი.

პუტინის მიზანია, კონტროლი დაამყაროს ისეთ ქვეყნებზე, როგორებიც არის საქართველო, უკრაინა, მოლდოვა და აქციოს ისინი ბუფერებად რუსეთსა და მოწინააღმდეგეებს შორის. საგარეო მტრები პუტინისთვის აუცილებელია. ისინი მას ქვეყნის შიგნით ავტორიტარიზმის შენარჩუნებისთვის ესაჭიროება.

ნატოს გაფართოება რუსეთის ექსპანსიონიზმმა გამოიწვია. ამერიკამ რუსეთი უნდა შეაკავოს.

ამერიკელებმა თავი არ უნდა დაიდანაშაულონ იმაში, რომ რუსეთი აგრესიას აგრძელებს. ვაშინგტონმა უნდა გააძლიეროს უკრაინის არმია, დაცვის სისტემები ბალტიისპირეთში, განახორციელოს სანქციები რუსეთის თანამდებობის პირების მიმართ და უარი თქვას საკუთარი თავის დადანაშაულებაზე.

— მოსკოვი თავის გავლენის სფეროებში მოიაზრებს საქართველოს, უკრაინასა და პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებს, — აცხადებს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „დოჟდის“ ხელმძღვანელი მიხეილ ზიგერი ამერიკულ მედიასთან ინტერვიუში.

მისი თქმით, პუტინმა საფრთხე იგრძნო, როცა ფერადი რევოლუციების ტალღამ გადაუარა საქართველოს, უკრაინასა და ყირგიზეთს. რუსეთის პრეზიდენტი დასავლეთს გარკვეული ხნის წინ იმის გამოც აუმხედრდა, რომ ბუში-უმცროსი რუსეთს დიდ სახელმწიფოდ, დერჟავად არ აღიარებდა. პუტინი არაფრით იჯერებს, რომ დღევანდელ მსოფლიოში გავლენის სფეროებს აღარ ინაწილებენ. — თუ გავლენის სფეროები აღარ არის, მაშინ, რისთვის არსებობს ნატო? — კითხულობს ის.

ბევრი დარწმუნებულია, რომ რუსეთი ჩაერია აშშ-ისა და საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში. მიხეილ ზიგერის აზრით, ამაში მონაწილეობდნენ კომპანიები, რომლებსაც კრემლის ყურადღების მიპყრობა უნდათ, კრემლის როლი კი გაზვიადებულია. პუტინს არჩევნებით მანიპულირება არ შეუძლია. იგი არ არის ყველაფრის იდეოლოგი, რაც პლანეტაზე ხდება. პუტინი არასდროს ყოფილა სტრატეგიული მოთამაშე, გეოპოლიტიკური სტრატეგია კი მას საერთოდ არ გააჩნია.

ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის დაძაბულობის ზრდის პარალელურად, აშშ-ის პრეზიდენტს რუსეთთან გარიგებას ედავებიან. გრძელდება დონალდ ტრამპის რუსეთთან შესაძლო კავშირის გამოძიება საპრეზიდენტო არჩევნების დროს. პრეზიდენტის კრიტიკოსები აღაშფოთა ტრამპის გადაწყვეტილებამ გამოძიების ფედერალური ბიუროს შეფის გადაყენების თაობაზე. ისინი მიიჩნევენ, რომ ტრამპმა ჯეიმს კომი ამ საქმის გამოძიებას ჩამოაცილა. ეს გაკეთდა რუსეთის საგარეო მინისტრ ლავროვის ვაშინგტონში ვიზიტის წინ, რაც რუსეთის წინაშე ერთგვარი კეთილი ჟესტი იყო.

აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი ამერიკელებს ურჩევს, პრეზიდენტის ადმინისტრაციას რუსულად ელაპარაკონ. მისი თქმით, პრეზიდენტის ადმინისტრაციაზე ზემოქმედება თუ უნდათ, ამერიკელებმა რუსული უნდა შეისწავლონ.

# მამუკა გვაძაბია: „ზალბერისთანა პიროვნება საშიშია“

გულიკო ბალაძე

**რა საფრთხეები ემუქრება ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკას? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია ესაუბრა.**

***— ბატონო მამუკა, ზალბერის განცხადებებში რა საფრთხე დაინახეთ? ზალბერმა საფრთხე შეუქმნა ჩვენი ტერიტორიების დამოუკიდებლად არაღიარების პოლიტიკას?***

— ვშიშობ, არაღიარების პოლიტიკის ეროზიების პროცესები ხომ არ დაიწყო. ასეთი მაღალი რანგის დიპლომატის საქართველოში ვიზიტისას გაკეთებული ჩვენი სუვერენიტეტის დამაზიანებელი განცხადებები დამაზიანებელია არაღიარების პოლიტიკისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის, თანაც საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა ამ განცხადების საპასუხოდ არაადეკვატური იყო.

***— არაადეკვატური რატომ?***

— ხელისუფლების რეაქცია არ იყო იმის ადეკვატური, რა მასშტაბის საფრთხეც შეიძლება დაემუქროს ქვეყნის სუვერენიტეტს.

***— ევროკავშირმა განაცხადა, რომ არაღიარების პოლიტიკის ერთგულია.***

— ევროკავშირის განცხადებით, ზალბერმა პირადი აზრი გაახმოვანა. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ზალბერის განცხადება საზოგადოებრივი აზრის მოსინჯვისთვის გაკეთდა. ის პირველი არ არის, ვინც ასეთ განცხადებას აკეთებს. ტალიავინის, ჰამერბერგისა და სხვათა განცხადებებიც გვახსოვს. თავის დროზე ჰამერბერგს მეც შევხვდი. აქ უნდა გამოვყო გერმანელი დიპლომატების პოზიცია.

***— რით განსხვავდება მათი პოზიცია სხვებისაგან?***

— გერმანელები უფრო ლოიალურები არიან რუსეთის პოზიციისადმი. თანამედროვე გერმანული პოლიტიკური ისტებლიშმენტის სერიოზულ ნაწილს არასრულფასოვნების კომპლექსი უჩნდება მეორე მსოფლიო ომის შედეგებიდან გამომდინარე. გავიხსენოთ შრიოდერი. ასევე თავის დროზე ძლიერი იყო აღმოსავლეთგერმანული შტაზი, რომელიც კგბ-ს მსგავსი სპეცსამსახური იყო.

***— რუსეთისა და გერმანიის ურთიერთობაში, ალბათ, განმსაზღვრელია საერთო ინტერესები. ნოდარ ნათაძისაგან მომისმენია, რომ მათი ინტერესები რეალიზდება ფორმულით გერმანული ჭკუა და რუსული რესურსები.***

— დიახ, საერთოდ, რუსეთის რბილი ძალა მოდებულია არა მხოლოდ საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპას, არამედ მთელ დასავლეთ ევროპასაც. მთელი არასამთავრობო ორგანიზაციების ძალიან დიდი ნაწილი „გაზპრომის“ ფულით ფინანსდება. საქართველოში არსებული არასამთავრობოები გერმანიიდან ფინანსდებიან. მათი გარკვეული ნაწილი „გაზპრომის“ ფულით ფინანსდება.

დააკვირდით ზოგიერთი არასამთავრობოს განცხადებებს. ისინი თითქოსდა რუსეთთან კავშირში არ არიან, მაგრამ უფრთხიან ევროკავშირსა და ნატოს. ამერიკაშიც კი სერიოზული საფრთხე იგრძნეს ამ თვალსაზრისით. რუსული რბილი ძალა სახუმარო არ არის. ამიტომ მე მენიშნა გერმანელი დიპლომატის განცხადება, როცა ის სეპარატისტებს ოკუპაციის პირობებში ჩატარებულ არჩევნებს ულოცავდა, რაზეც საქართველოს ხელისუფლების რეაქცია ადეკვატური არ იყო.

***— რბილი ძალა რუსეთისთვის იარაღია გავლენის მოპოვებისთვის?***

— რა თქმა უნდა, რბილი ძალა უპირველესად არის ფულით სასურველი პოლიტიკური ვითარების შექმნა. რუსეთისთვის გაერთიანებული ევროპა წარმოადგენს საფრთხეს. გაერთიანებულ ევროპას ისინი ვერ უმკლავდებიან ვერც ეკონომიკურად და ვერც სამხედრო თვალსაზრისით.

***— ფიქრობთ, რომ ზალბერი პერსონა ნონ გრატად უნდა გამოეცხადებინათ?***

— ზალბერისთანა პიროვნება საშიშია შემდგომი პროცესებისთვის. შეიძლება, ხელისუფლების გადასახედიდან სხვანაირად ჩანს. ხელისუფლებას ვურჩევდი, ის დიპლომატიური ნოტებით ჩამოეცილებინათ ჟენევის პროცესისთვის, რომ შემდგომში აუტკივარი თავი არ ავიტკივოთ.

***— თქვენ გაქვთ კავშირები ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილებთან. რა გავლენა იქონია ამ პიროვნების ვოიაჟმა აფხაზეთში?***

— უფრო დიდი ჟრიამული იყო ცხინვალის რეგიონში, ნაკლები ჟრიამული იყო აფხაზეთში, სადაც არანაირი თვალსაზრისი არ გამოუთქვამს. იქ იყო შეხვედრები ე.წ. ლიდერებთან. ილაპარაკეს ადამიანის უფლებებზე, გადაადგილების უფლებებზე, ჰუმანიტარულ პრობლემებზე, ვიდრე პოლიტიკურზე, მაგრამ არანაირი ჟრიამული არ ყოფილა.

***— ჩვენთვის კარგად არის ცნობილი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების დარღვევის, იგივე ქართველების გადაადგილების უფლებების შეზღუდვის თაობაზე. აფხაზებს რა ჰქონდათ სალაპარაკო და სასაყვედურო გადაადგილების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით? თვითონ არღვევენ ქართველების გადაადგილების უფლებას.***

— აფხაზებს ის აქვთ სალაპარაკო, რომ აფხაზეთი არის რუსეთის მოკავშირე, რუსეთმა აღიარა აფხაზეთი. აფხაზები და მათი სტრატეგიული მოკავშირე რუსები ერთობლივად იცავენ „სახელმწიფო საზღვარს“. ქართველ მოსახლეობას გადაადგილების პრობლემა რომ ექმნება, ეს არის პრობლემა. სეპარატისტული მხარე თავისი გადასახედიდან ესაუბრება მთელ საერთაშორისო საზოგადოებას.

ინფორმაციამ გაჟონა, რომ ახლახან იტალიის ერთ-ერთ ქალაქთან სოხუმმა მეგობრობის ხელშეკრულება გააფორმა. ჩამოვიდნენ, სოხუმში პრესკონფერენცია გამართეს და განაცხადეს, ვერ ვიტყვით, რომელ ქალაქთან გავაფორმეთ ხელშეკრულება, რადგან ქართული მხარე ხელს გვიშლის მის განხორციელებაშიო. რა ხელშეკრულება გააფორმა სოხუმმა იტალიასთან, არ ვიცი.

***— ჩვენ ვნახეთ, ზალბერი სეპარატისტ ლიდერებთან ერთად როგორ ათვალიერებდა ოკუპანტების მიერ გაკეთებულ მავთულხლართებს. თუ ამის ცოდნა საჭირო იყო, რატომ ქართველებთან ერთად არ მივიდა ადმინისტრაციულ საზღვარზე? როგორც ჩანს, ზალბერს არ ჰქონდა ბერლინის კედლის პრობლემის განცდა.***

— მავთულხლართებს ისინი ბერლინის კედლის რანგში არ აიყვანდნენ. გერმანიაში ბერლინის კედელი პრობლემა იყო, მაგრამ საქართველოში გავლებული მავთულხლართები მათთვის „ბერლინის კედელი“ არ არის. ამიტომ ვსაუბრობ საფრთხეებზე. არ შეიძლება ყურადღების მოდუნება. ძალიან ბევრი რუსეთის მიერ არის მოსყიდული. რუსეთი ევროპაში უზარმაზარ ფულს ხარჯავს.

***— ერთი რამ ნამდვილად სასაყვედუროა — ერთხელაც კი ვერ მოახერხა დევნილმა საზოგადოებამ, მისულიყო ენგურის ხიდთან და მსოფლიოს დასანახად განეცხადებინა, რომ ისინი საკუთარ სახლებში, საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნებას ითხოვენ. რატომ ვერ მოახერხეთ ამგვარი აქციის გამართვა ენგურთან?***

— აბსოლუტურად მართალი ხართ, მაგრამ აქ მრავალი ნიუანსი და საკითხია, მათ შორის ე.წ. ლეგიტიმური ხელისუფლების ლეგიტიმურობა-არალეგიტიმურობა. ამ საკითხში ხე-



ლისუფლების დახმარებაა საჭირო. არცერთ ცენტრალურ ხელისუფლებას არ აწყობდა იმის გაკეთება, რასაც ახლა თქვენ ამბობთ და ამიტომ ვერ მოხერხდა აქციის გამართვა.

***— ხელისუფლების გარეშე აქციის გამართვა არ შეიძლება?***

— იმას, რასაც თქვენ ამბობთ, დიდი რესურსი სჭირდება. ჩვენ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ვერ მივაღწიეთ, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარდეს.

***— დევნილ საზოგადოებაშიც არიან ისეთები, ვინც ბიზნესი გააკეთა და გარკვეულ თანხებს ფლობენ.***

— არც აფხაზეთის უმაღლესი საბჭო და არც ცენტრალური ხელისუფლება დაინტერესებული არ არის ამ პრობლემით. ხელისუფლებას სურს, დევნილების პრობლემა არ იყოს. ლიდერები არიან, მაგრამ სერიოზული ძალის შეკრება მაინც ვერ ხერხდება.

***— ხელისუფლების გარეშე დევნილ საზოგადოებას ამის ორგანიზება არ შეუძლია? 50 ათასი დევნილი ხომ იქნება ზუგდიდში? რა რესურსი სჭირდება იმ ადამიანების მიყვანას ენგურის ხიდთან, შორიახლოს მშვიდობიანი აქციის გამართვასა და მსოფლიო პრესის მიწვევას? ზალბერისთანა პოლიტიკოსების გასაჩუმებლად ყველაზე კარგი საშუალება იქნება.***

— პოლიტიკური რესურსია საჭირო — როცა შენ ეტყვი, დევნილი უნდა მოვიდეს. არ მოდის და რა უნდა ქნა.

# ადვოკატი ნესტან ლონდარიძე: „ნინო კუზანოვასთან ბევრი კითხვა გვაქვს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***— გარდაცვლილთაგან ერთს ჰქონდა ციროზი, ხოლო მეორეს — სიმსივნე ღვიძლზე და უმძიმესი მდგომარეობა იყოო. ასეა?***

— ეს არასწორი ინფორმაციაა! რასაკვირველია, ყველანაირად ეცდებიან დიაგნოზების გაბუქებას. 7 წელი აწუხებდა გიორგი ჩუბინიძეს ღვიძლის პრობლემა. ის რეგულარულად მკურნალობდა ესპანეთში და იქ გაცემული დასკვნებიც არსებობს, თუ რა დიაგნოზი აღენიშნებოდა ამ ადამიანს, რა ესაჭიროებოდა და როგორი იყო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

***— მაშინ რატომ დათანხმდა, თუკი არ საჭიროებდა ოპერაციას და ესპანეთში მკურნალობდა?***

— სწორედ ეს არის გასაოცარი და მე სწორედ ეს მიკვირს, როგორ მოახერხეს ამ ოჯახების დათანხმება. ოჯახები იხსენებენ ერთ ისტორიას, რომელიც აუცილებლად უნდა გითხრათ. ეს ორი ოჯახი ერთმანეთს არ იცნობდა და, რასაკვირველია, ცალ-ცალკე მიდიოდა კლინიკა „ლანცეტში“, თუმცა ორივე შემთხვევაში მეორდება ერთი და იგივე ისტორია, ხვდებათ ძალიან ბევრი ხალხი რატომღაც „ლანცეტში“, მადლიერი ამ ქირურგების, მერე ეს ქირურგი ზის სკამზე, შედის ერთი ადამიანი და ხელზე ემთხვევა, ეს ორივე დაზარალებული ოჯახის თვალწინ, ცალ-ცალკე სხვადასხვა დროს მოხდა.

***— ანუ დადგმული სცენა იყო მადლიერი პაციენტების?***

— რა თქმა უნდა, ეჭვი და კითხვის ნიშნები ჩნდება. როგორც კი ოპერაციები დამთავრდა, არცერთი ეს ადამიანი იქ არავის უნახავს. კიდევ საინტერესოა ის, რომ ჩვენს მიმართვამდე რეგულირების სააგენტოს არაერთხელ ჰყავს დაჯარიმებული კლინიკა „ლანცეტი“ პროცედურების დარღვევის გამო.

***— თუ იცით რამე იმ ტრანსპლანტოლოგის წარსული საქმიანობის შესახებ, რომელმაც ოპერაციები ჩაატარა. როგორ სრულდებოდა მის მიერ ჩატარებული ოპერაციები?***

— მე დეტალურად არ დამიწყია მისი ბიოგრაფიის გამოკვლევა. ჩვენთვის ნაკლებად საინტერესოა, როგორ მოღვაწეობდა ის თავის ქვეყანაში. ამას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მათ მიერ ორი ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაცია განხორციელდა და ორივე წარუმატებლად. მათ მიერ მეტი ტრანსპლანტაცია ღვიძლზე კლინიკა „ლანცეტში“ არ განხორციელებულა.

***— ნესტან, დაკავებულია კლინიკის ხელმძღვანელი. ფიქრობთ, რომ გამოძიების დასრულების შემდეგ, შესაძლოა, სხვა პირებიც აღმოჩნდნენ განსასჯელის სკამზე?***

— რა თქმა უნდა, ამას არ გამოვრიცხავ, მეტს ვერაფერს გეტყვით, რადგან გამოძიება მიმდინარეობს. აღვნიშნე, რომ ჩვენ ბევრი კითხვა გვაქვს და მათ პასუხი უნდა გაეცეს, თუნდაც იმდროინდელ მთავარ ექიმთან დაკავშირებით.

# „ბიძინა ივანიშვილის დაწყებულ რეფორმას „ქართული ოცნება“ აუქმებს“



ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თვითმმართველობის რეფორმაზე საუბრობს.**

***— ბატონო ლევან, თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით ხელისუფლება აცხადებს, რომ მისი ოპონენტები ცრუ ინფორმაციას ავრცელებენ და ადგილი არ აქვს თვითმმართველობის გაუქმებას.***

— ხელისუფლება ცდილობს, შეფუთოს ის მავნებლობა, რომელსაც გეგმავს 7 თვითმმართველ ქალაქთან დაკავშირებით, მაგრამ ეს არ გამოსდის და ბოლო პერიოდში არც უარყოფს, რომ 7 ქალაქი აღარ იქნება თვითმმართველი ერთეულის სტატუსის მქონე.

***— საწინააღმდეგოს ამბობენ.***

— სიტყვებით თამაშობენ. ამბობენ „ქალაქი“, რაც ამომრჩევლის შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად. მაგალითად, ზუგდიდი 2014 წლამდეც და ახლაც იყო ქალაქი, მაგრამ მაშინდელ და დღევანდელ ქალაქს შორის რამდენიმე დიდი განსხვავებაა: იმ ქალაქს არ შეეძლო დამოუკიდებლად ხელშეკრულებების გაფორმება, არ ჰქონდა დამოუკიდებელი ბიუჯეტი, საკუთარი ორგანოების მიერ დამტკიცებული, რომელიც მოხმარდებოდა მხოლოდ ქალაქის მიზნებს. ეს ეხება ასევე ქონებასა და ა.შ. არსებობდა არა ქალაქ ზუგდიდის ქონება, არამედ ზუგდიდის თემის, მუნიციპალიტეტის საკუთრება და არა — ქალაქის.

რაც შეეხება ორგანოებს: დღეს ქალაქ ზუგდიდს საკრებულო ჰყავს. ჰყავს არჩეული მერი. ორივე ორგანო ხალხის მიერ პირდაპირი წესით ირჩევა. ქალაქი სახელწოდება იყო და რჩება, იმ განსხვავებით, რომ ეს უფლებები ერთმევა. სამტრედია ქალაქია და რჩება როგორც ქალაქი, მაგრამ ეს უფლებები აღარ ექნება. ეს განსხვავებაა. ცალკე სამტრედიას ბიუჯეტი არ ექნება, მუნიციპალიტეტს ექნება. ცდილობენ, შეფუთონ გაუაზრებელი და სრულიად ნაჩქარევი გადაწყვეტილება.

2013 წელს ეს გადაწყვეტილება, რაც არის მონაპოვარი, პერსონალურად ბიძინა ივანიშვილის ჩარევის შედეგად იქნა დაგეგმილი და მიღებული, მათ შორის გამგებლებისა და მერების პირდაპირი წესით არჩევა. მაშინ ამ ყველაფრის წინააღმდეგი იყვნენ შს და ფინანსთა მინისტრები, ამიტომ მოუხდა მას პერსონალური ჩარევა. ეს არის ბიძინა ივანიშვილის დაწყებული რეფორმა, რომელსაც ახლა აუქმებენ. როგორ მაინტერესებს, დღეს რას ეუბნება ბიძინა ივანიშვილს თავისი გუნდი — ეს რა სისულელე ქენი?!

***— ხელისუფლების არგუმენტია, რომ ამ სისტემამ ვერ გაამართლა და თანაც ძვირია.***

— უკვე ველარ საუბრობენ ამაზე.

***— რატომ, არსებითი არგუმენტი არ არის?***

— არ შეიძლება, ეს არგუმენტად მოიშველიო. 7 ქალაქის შემთხვევაში საუბარია 3 მილიონზე, არავითარი 40 მილიონი. მაშინ, მათი ლოგიკით, პარლამენტის შენახვაც ძვირი ჯდება, ასევე, რად გვინდა მთავრობა, რადგან მისი შენახვა ძვირი ჯდება.

7 თვითმმართველ ქალაქს სტატუსს გავუუქმებთ და მერე წარმოგიდგენთ სტრატეგიასო. ერთადერთი დასკვნის საფუძველი რჩება: ძალაუფლების კონცენტრაცია ყველა დონეზე, ყველა სფეროში.

თვითმმართველობის რეფორმა ამ მიმართულებით განსაკუთრებით მტკივნეულია ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის ფონზე. აფხაზებისა და ოსებისთვის ეს ძალიან ცუდი გზავნილი იქნება. ერთ სახელმწიფოში ცხოვრებაზე ვესაუბრებით და ამ დროს ასეთ გზავნილებს ვუშვებთ. ასევე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უმცირდება სტატუსი.

***— რა ნაწილში?***

— დღეს აჭარას საკუთარი ქონების მართვაში სრული ავტონომია აქვს. ხდება ამ ქონების მართვის შეზღუდვა. ასევე, აჭარის უმაღლესი საბჭო თუ როგორი წესით უნდა დაკომპლექტდეს — პროპორციულით, მაჟორიტარულით თუ შერეულით, ამ საკითხზეც სრული ავტონომია აქვს. თუმცა, ამ ცვლილებებით ამ უფლებას ართმევენ და დგინდება, რომ თბილისში ახალი კანონით მოხდეს ამის რეგულირება.

# ქონების გადამალვის ფაქტზე 16 საწარმოს 17 ხელმძღვანელი პირი პასუხისგებაში მისცეს




საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, სახელმწიფოს წინაშე არსებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით საგადასახადო ვალდებულებისგან თავის არიდების მიზნით, მოჩვენებითი გარიგებით, ქონების გადამალვის ფაქტზე, 16 საწარმოს 17 ხელმძღვანელი პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა. ამის შესახებ საგამოძიებო სამსახური იუწყება.

— გამოძიებით დადგენილია, რომ თბილისსა და სხვადასხვა რეგიონში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტები, არსებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ინვენტარიზაციის შედეგად დარიცხული ჯარიმების გადახდისაგან თავის არიდების მიზნით, ახდენდნენ ახალი, ფიქტიური საწარმოების რეგისტრაციას, ხშირ შემთხვევაში იმავე მისამართზე, მათი ოჯახის სხვა წევრებზე, ხოლო შემდეგ, მოჩვენებითი გარიგებით, საქონლის გადაწერის გზით ახორციელებდნენ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქონების გადამალვას.

ამ გზით ბრალდებულებმა სახელმწიფოს მოუსპეს შესაძლებლობა ქონების რეალიზაციის გზით ამოეღო ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხული თანხები. ხსენებული დანაშაულებრივი ქმედებით, საწარმოს ხელმძღვანელების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მიყენებულია 1 მილიონ ლარზე მეტი ზიანი, — აცხადებენ საგამოძიებო სამსახურში.

საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2051-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

# რაგბის 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის პარალელურად, სოციალური და საგანმანათლებლო აქტივობები გაიმართება

31 მაისიდან 18 ივნისის ჩათვლით საქართველო რაგბის 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს — თბილისსა და ქუთაისში პლანეტის 12 საუკეთესო ნაკრები შეიკრიბება და 20 წლამდე მორაგბეთა შორის უძლიერესს გამოავლენენ.

გარდა იმისა, რომ გუნდები სპორტული შეჯიბრებით იქნებიან დაკავებულნი, ჩემპიონატის ფარგლებში, ტურნირის მონაწილე 12-ვე ნაკრები სოციალურ და საგანმანათლებლო აქტივობებში ჩაერთვება.

ამ საკითხთან დაკავშირებით თიბისი გალერეაში ჩემპიონატის ფარგლებში განსახორციელებელი სოციალური და საგანმანათლებლო აქტივობათა გეგმის შესახებ პრესკონფერენცია გაიმართა.

საქართველოს რაგბის კავშირი დიდი ხანია აქტიურად მოღვაწეობს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით. მსგავსი პროექტები რაგბის სამყაროში ყველა მსოფლიოს ჩემპიონატის თანმდევი ნაწილია — სოციალურ და საგანმანათლებლო საკითხებში მოთამაშეები, მწვრთნელები და გუნდის მენეჯერები აქტიურად ერთვებიან.

ჩემპიონატის მსვლელობისას დაგეგმილი აქტივობების სია საკმაოდ დიდია. ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ღონისძიება ჰაკათონია, რომლის ფარგლებშიც ინგლისისა და მსოფლიო რაგბის IT სპეციალისტებთან ერთად, საქართველოს რაგბის აკადემიის წარმომადგენლები მონაწილეებს რაგბისა და ზოგადად სპორტში არსებულ თანამედროვე ტექნოლოგიებს გააცნობენ. სამატჩო დღეებში სტადიონებზე უსაფრთხო გზების კამპანიაც იგეგმება. გუნდები ასევე აქტიურად იქნებიან ჩართული ბავშვთა დღისა და გარემოს დაცვის დღის აღსანიშნავ ღონისძიებებში. ამასთან ერთად, იგეგმება მედიატურნირები, სამწვრთნელო და სამედიცინო სემინარები.

ტურნირის სოციალურ პროგრამაში არაერთი პარტნიორი კომპანიაა ჩართული: თიბისი ბანკი, ბილაინი, გაეროს ქალთა პროგრამა (UN Women), სან-დიეგოს უნივერსიტეტი, იუნისეფი (Unicef), პარაოლიმპიური გადამზადების ცენტრი, ბავშვთა ჰოსპისი, იმპაქთ ჰაბი (Impact Hub), სახელმწიფო უწყებები და არასამთავრობო ორგანიზაციები.




**გოჩა სვანიძე, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:**

— მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის დაწყებამდე 5 დღე დარჩა. მზადების სტადია დასკვნით ფაზაშია და მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო საორგანიზაციო გუნდს ლაშა ხურციძის მეთაურობით. ახალგაზრდების ჯგუფმა შესანიშნავად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას და წინ დაუვიწყარი სანახაობა გველის. მსოფლიო ჩემპიონატებს თან ახლავს სოციალური პროგრამები, ეგრეთ წოდებული ლეგასები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობენ სტუმრად ჩამოსული გუნდები. ეს საგანმანათლებლო აქტივობები კიდევ ერთი დიდი სიკეთეა, რომელიც საქართველოს ამ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დარჩება.

მსოფლიო რაგბის ხელშეწყობითა და მონაწილე გუნდების ჩართულობით არაერთი საინტერესო ღონისძიება დაიგეგმა. პროექტის ხელმძღვანელი ვეტერანი ბორჯღალოსანი ნონო ანდღულაძეა.

— საქართველოს რაგბის კავშირი სოციალურ აქტივობებს ყოველთვის პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. ჩვენ უკვე წლებია ვთანამშრომლობთ გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან, იუნისეფთან ერთად გვქონდა პროექტი არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მსოფლიოს ჩემპიონატის ფარგლებში კი სხვადასხვა მიმართულებით არაერთი აქტივობაა გაწერილი და მასში ჩემპიონატის მონაწილე ყველა გუნდი ჩაერთვება. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ორგანიზაციას, რომელიც ამ მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებაში გვეხმარება.

**ელენე ალადაშვილი, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუნიკაციებისა და განვითარების დირექტორი:**

— ჩვენს პროექტს, რომელსაც ბილაინის მხარდაჭერით განვახორციელებთ, ჰაკათონი რაგბისთვის ეწოდება და მასში სხვადასხვა უნივერსიტეტის 100-მდე სტუდენტი იქნება ჩართული. 29 მაისს ბორჯღალოსნების მთავარი მწვრთნელი მილთონ ჰეიგი სტუდენტებს რაგბისა და ზოგადად სპორტში ტექნოლოგიური მიღწევების მნიშვნელობაზე გაესაუბრება, რის შემდეგაც სტუდენტებს მივცემთ დავალებებს და გამოვავლენთ გამარჯვებულებს. მთავარი პრიზი ფულადი ჯილდო იქნება — გამარჯვებული დაფინანსდება, რათა უფრო უკეთ გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები.

**შეხვედრის მასპინძელმა, თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე ნიკა ქურდიანმა, საქართველოს რაგბის კავშირს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობისთვის მადლობა გადაუხადა:**

— ჩვენსა და საქართველოს რაგბის კავშირს შორის მხოლოდ სასპონსორო კი არა, მეგობრული ურთიერთობაა და მინდა, მადლობა გადავუხადო კავშირს, ამის საშუალება რომ მოგვეცა. რაგბი საქართველოში წარმატების მაგალითია და მის პოპულარიზაციას მომავალშიც შევუწყობთ ხელს. განსაკუთრებული მადლობა კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობისთვის, რადგან ეს უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის.

# უმუშევრობის დონემ ბოლო 13 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია




უმუშევრობის დონე საქართველოში, გასულ წელს 2015 წელთან შედარებით, 0.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 11.8% შეადგინა.

ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, 2016 წელს უმუშევრობის დონემ ბოლო 13 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია.

„საქსტატის" თანახმად, 2016 წელს ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 67.5% შეადგინა. წინა წელთან შედარებით მოსახლეობის აქტიურობის დონე 0.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო დასაქმების დონე – 0.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა. წინა წელთან შედარებით ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე შემცირებულია 0.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში – 0.1 პროცენტული პუნქტით, წინა წელთან შედარებით აქტიურობის დონე ქალაქის ტიპის დასახლებებში შემცირებულია 0.8 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში – 0.1 პროცენტული პუნქტით.

ტრადიციულად, დასაქმებულებში თვითდასაქმებულთა წილი ჭარბობს. აღნიშნული მაჩვენებელი 2016 წელს პრაქტიკულად არ შეცვლილა.

„საქსტატის" ინფორმაციით, უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სოფლის მოსახლეობაში, ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით. 2016 წელს 2015 წელთან მიმართებაში უმუშევრობის დონე ქალაქის ტიპის დასახლებებში შემცირდა 0.4 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში პირიქით, გაიზარდა 0.2 პროცენტული პუნქტით.

მათივე ცნობით, წინა წელთან შედარებით უმუშევრობის დონე რეგიონულ ჭრილში გაზრდილია იმერეთის, თბილისისა და შიდა ქართლის რეგიონებში. თბილისში, სადაც უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია, აღნიშნული მაჩვენებელი 0.6 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი, ხოლო იმერეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში შესაბამისად 2.0 და 0.2 პროცენტული პუნქტით. უმუშევრობის დონე ყველაზე მეტად შემცირებულია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონსა და აჭარის ა.რ.-ში, შესაბამისად 2.5 და 2.1 პროცენტული პუნქტით.

– დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების სქესობრივ ჭრილში განხილვისას აღსანიშნავია, რომ 2016 წელს 2015 წელთან შედარებით უმუშევრობის დონე ქალებში შემცირდა 1.4 პროცენტული პუნქტით, კაცებში კი პირიქით 0.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და შესაბამისად, 8.8 და 14.2 პროცენტი შეადგინა. ტრადიციულად კაცებში უმუშევრობის დონე უფრო მაღალია ქალებთან შედარებით. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ დაუსაქმებელი ქალების უმრავლესობა არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება.

ქალებში არააქტიურობის დონე თითქმის ორჯერ აღემატება კაცებში ანალოგიურ მაჩვენებელს (შესაბამისად 42.0 და 21.8 პროცენტი). ამგვარად, კაცებთან შედარებით ქალებში დაბალია როგორც აქტიურობის, ასევე დასაქმების დონე.

2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, აქტიურობის დონე ქალებში შემცირებულია 0.9 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში გაზრდილია 0.1 პროცენტული პუნქტით და შესაბამისად 58.0 და 78.2 პროცენტი შეადგინა.

2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, ქალებში დასაქმების დონე უცვლელია, ხოლო კაცებში შემცირებულია 0.5 პროცენტული პუნქტით და შესაბამისად 52.9 და 67.1 პროცენტი შეადგინა, – ნათქვამია ინფორმაციაში.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, უმუშევრობის დონის განხილვა ასაკობრივ ჭრილში გვიჩვენებს, რომ 2016 წელს უმუშევრობის დონემ ყველაზე მაღალ ნიშნულს 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში მიაღწია (31.9 პროცენტი), რაც 5.7 პროცენტული პუნქტით მაღალია 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

უმუშევრობის დონე ტრადიციულად ყველაზე დაბალია 65+ ასაკობრივ ჯგუფში. ამის მიზეზია ის, რომ 65+ საპენსიო ასაკია და მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის დასაქმებული, არ ეძებს სამუშაოს და შესაბამისად არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება.

# თბილისის ყველაზე ძვირადღირებული ქუჩები

თბილისში საცხოვრებელი ბინების ფასის შემცირების პარალელურად, კომერციული ფართებიც გაიაფდა. გაყიდვებით ვაკის, საბურთალოსა და სამგორის რაიონები ლიდერობენ. ყველაზე ძვირი ფართები როგორც გაყიდვის, ისე დაქირავების თვალსაზრისით ვაკისა და საბურთალოს ტერიტორიაზეა.

Allnews.ge დაინტერესდა, თუ რომელი ქუჩებია ამ მხრივ ყველაზე ძვირადღირებული დედაქალაქში. როგორც უძრავი ქონების სარეალიზაციო ვებგვერდებზე დაკვირვებით გამოიკვეთა, ყველაზე ძვირი ვაკეში მდებარე ფალიაშვილის ქუჩაა. აქ კომერციული ფართის დაქირავების შემთხვევაში 1კვ.მ-ზე 15-125 დოლარამდე გადაიხდით, რა თქმა უნდა, კომერციული ფართის მდგომარეობაც გასათვალისწინებელია, გარემონტებულია თუ არა იგი, ასევე გაყიდვების თვალსაზრისით, რამდენად ხელსაყრელ ადგილზეა და ა.შ.

მაღალი ფასების მიხედვით, ერთ-ერთი ლიდერი, ასევე პეკინის ქუჩაა, რადგან აქ კომერციული ფართების ქირის ღირებულება 1 კვ.მ-ზე 11-100 დოლარამდე მერყეობს. უკვე მოწყობილი კომერციული ობიექტის, მაგალითად, სილამაზის სალონის დაქირავების შემთხვევაში, 1 კვ.მ-ის ღირებულება 30-40 დოლარიდან იწყება.

კომერციული ფართების ქირის ღირებულება საკმაოდ მაღალია სოლოლაკშიც, კოტე აფხაზის ქუჩაზე, სადაც ბევრი ტურისტი გადაადგილდება და კვების ობიექტები მუდმივად მომხმარებლებითაა სავსე, 1 კვ.მ ფართობში 10-80 დოლარამდე გადაიხდით.

მელიქიშვილის გამზირსა და რუსთაველის გამზირზე 1 კვ.მ-ს დაქირავებას, ბოლო მონაცემებით, დაახლოებით 20-70 დოლარში შეძლებთ.

რაც შეეხება საბურთალოს ტერიტორიას, აქ როგორც ბინების, ასევე კომერციული ფართების დაქირავებაც საკმაოდ ძვირია.

მაგალითად, შარტავას გამზირზე კომერციული ფართების ქირის ფასი 27 დოლარიდან იწყება. გაგარინის მოედანიც ფასების თვალსაზრისით ერთ-ერთი ლიდერია, რადგან აქ კომერციული ფართის დაქირავების შემთხვევაში, 1 კვ.მ-ში დაახლოებით, 11-25 დოლარს გადაიხდით.

კომერციული ფართის დაქირავებისთვის საკმაოდ დიდი თანხების მობილიზება ვერის შემთხვევაშიც მოგიწევთ, რადგან ამ უბნის თითქმის ყველა ქუჩაზე, რაც უძრავი ქონების ვებგვერდებზეა განთავსებული, კომერციული ფართების ღირებულება დაახლოებით 1 კვ. მ-ზე 10 დოლარიდან იწყება.

ჩამოთვლილ უბნებსა და ქუჩებთან ერთად უნდა აღინიშნოს წერეთლის გამზირიც, სადაც, შაქმე.გე-ს მონაცემებით, ფართის დაქირავების შემთხვევაში 1 კვ.მ-ზე 9-22 დოლარამდე გადაიხდით.

აღსანიშნავია, რომ ძირითად შემთხვევაში კომერციული ფართების გაქირავება და არა გახსვისება ხდება, რაც მეპატრონისთვის უფრო ხელსაყრელია და მოსარგებლესაც, როდესაც დიდი თანხის მობილიზება უჭირს ან მესაკუთრე მიყიდვაზე უარს ეუბნება, ურჩევნია, ბიზნესის წინსვლის თვალსაზრისით ფული ქირაში გადაიხადოს.



bp

ბი პი ექსპლორეიშნ (კასპიის ზღვა) საქართველო გეგმავს გამოაცხადოს ტენდერი საგზაო ტრანსპორტის მართვის მომსახურების გაწევაზე:

- პროფესიული მძღოლების მოწოდება, ტრეინინგებისა და კომპეტენციის შეფასების უზრუნველყოფა
- ავტოტრანსპორტით მომსახურება და/ან ქირავნობა ქალაქის მასშტაბით, დიდ მანძილებზე და უგზოობის პირობებში სამოძრაოდ
- ავტოტრასპორტის მოვლა/შეკეთების დაგეგმვა, კოორდინაცია, შესრულება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება მწარმოებელთა რეკომენდაციების შესაბამისად
- ტრანსპორტის ქოლ ცენტრის/მგზავრობის დაგეგმარების და კოორდინაციის, ტრანსპორტის დროული მიწოდების მენეჯმენტი
- სატრასპორტო საშუალებების შემდეგი პირობების უზრუნველყოფა: დაზღვევა, რეგისტრაცია, სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერება, საწვავის საბარათე სისტემის უზრუნველყოფა, ინვენტარი, მანქანის რეცხვა, პარკირება, მოძრაობის ჯარიმების გადახდა, და ა.შ.
- ბი პი-ს საკუთრებაში მყოფი, თუ დაქირავებული სატრანსპორტო საშუალებების აღჭურვა მანქანის შიდა მონიტორინგის სისტემით (IVMS)

**დაინტერესებულ კომპანიებს გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი საკონტაქტო ინფორმაცია: კომპანიის სახელი, მისამართი, ტელეფონი, ელ. ფოსტა შემდეგ ელ ფოსტის მისამართზე:arveladm@bp.com ან კომპანიის ოფისის მისამართზე; თბილისი, სულხან ცინცაძის 24, კონტრაქტების განყოფილების უფროსის მაკა არველაძის სახელზე. მოწოდების ბოლო ვადაა 2017 წლის 5 ივნისი.**

**შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ პროფესორისა და ასისტენტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, დიპლომირებული მედიკოსის ქართული და ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად:**

**საბაზისო მედიცინა**

*საბაზისო სამედიცინო მეცნიერებათა დეპარტამენტის შემდეგი მიმართულებებით:*

- ასოცირებული პროფესორი (ფიზიოლოგია) – 2 ვაკანსია ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებზე;
- ასოცირებული პროფესორი (პათოლოგია) – 1 ვაკანსია ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებზე;
- ასოცირებული პროფესორი (ანატომია) – 1 ვაკანსია ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებზე;
- ასისტენტი (ანატომია) – 1 ვაკანსია ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებზე.

**კლინიკური მედიცინა**

*შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის შემდეგი მიმართულებებით:*

- პროფესორი (კარდიოლოგია) – 1 ვაკანსია ქართულენოვან პროგრამებზე;
- ასოცირებული პროფესორი (კარდიოლოგია, ფარმაკოლოგია) – 1 ვაკანსია ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებზე;
- ასოცირებული პროფესორი (შინაგანი მედიცინა) – 1 ვაკანსია ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებზე;
- ასოცირებული პროფესორი (ჰემატოლოგია) – 1 ვაკანსია ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებზე;
- ასისტენტ-პროფესორი (რადიოლოგია) – 1 ვაკანსია ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებზე;
- ასისტენტ-პროფესორი (ენდოკრინოლოგია) – 1 ვაკანსია ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებზე.

*ქირურგიის დეპარტამენტის შემდეგი მიმართულებებით:*

- პროფესორი (ქირურგია) – 1 ვაკანსია ქართულენოვან პროგრამაზე;
- პროფესორი (ოტორინოლარინგოლოგია) – 1 ვაკანსია ქართულენოვან და ინგლისურენოვან პროგრამაზე;
- ასოცირებული პროფესორი (ქირურგია) – 2 ვაკანსია ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებზე;
- ასოცირებული პროფესორი (ნეიროქირურგია) – 1 ვაკანსია ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებზე;
- ასოცირებული პროფესორი (ტრავმატოლოგია, ორთოპედია) – 1 ვაკანსია ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებზე;
- ასოცირებული პროფესორი (ანესთეზიოლოგია, რეანიმატოლოგია) – 1 ვაკანსია ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებზე;
- ასოცირებული პროფესორი (ოფთალმოლოგია) – 1 ვაკანსია ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებზე;
- ასისტენტ-პროფესორი (კარდიოქირურგია) – 1 ვაკანსია ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებზე.

*ჰუმანიტარული, საინფორმაციო, სოციალური და ქცევითი მეცნიერებების დეპარტამენტის შემდეგი მიმართულებებით:*

- პროფესორი (ქართული ფილოლოგია) – 1 ვაკანსია ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებზე;
- ასოცირებული პროფესორი (ინფორმაციული ტექნოლოგიები) – 1 ვაკანსია ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებზე.

**საკონკურსო მოთხოვნები და კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი იხილეთ შპს „აღმოსავლეთ – დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი"-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.eastwest.ge**

**კონკურსში მონაწილეთა მიერ დოკუმენტაციის წარმოდგენა და მათი რეგისტრაცია იწარმოებს 2017 წლის 26 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით უნივერსიტეტის კანცელარიაში (10:00-17:00 სთ). მისამართი: თბილისი, ქ. თბილისი, კ. აფხაზის ქ. №44. საკონკურსო საბუთები კონკურსანტებს უკან არ უბრუნდებათ.**

**კონკურსი ტარდება სამ ეტაპად (საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტთა დოკუმენტაციის შესწავლა, პირველადი შეფასება, დოკუმენტაციის შედეგად შერჩეული კონკურსანტებთან გასაუბრება და შეჯერება – გადაწყვეტილების მიღება) 2017 წლის 3 ივლისიდან 10 ივლისის ჩათვლით.**

**საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება გამოქვეყნდება არაუგვიანეს 2017 წლის 11 ივლისს.**

# თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე თანამდებობას ტოვებს

თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე თანამდებობას ტოვებს. ამის შესახებ სასამართლოს თავმჯდომარე ვალერი ცერცვაძის განცხადებაშია ნათქვამი. როგორც ცერცვაძე განმარტავს, მისი გადაწყვეტილება შპს „აიპლიუსისა“ და შპს „აიტექნიკის“ სასამართლო დავას უკავშირდება, რასთანაც დაკავშირებითაც არაერთხელ დასახელდა მისი სახელი.

სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებით, საზოგადოებაში ამ საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერი ეჭვის გამორიცხვის და მოსალოდნელი შეკითხვების თავიდან აცილების მიზნით, ის ტოვებს თანამდებობას და სამოსამართლო ვადის ფარგლებში გააგრძელებს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარის ფუნქციების განხორციელებას.

უკანასკნელ პერიოდში არაერთი ცილისმწამებლური და დაუსაბუთებელი განცხადება იქნა გაკეთებული კომპანია „აიპლიუსის“ მხრიდან, რაც აშკარად სცდებოდა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს და უხეშად ლახავდა, როგორც ჩემი, ასევე საქმის განმხილველი მოსამართლეებისა და მთლიანად სასამართლოს კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

გასულ კვირას თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა შ.პ.ს. „აიპლიუსისა“ და შ.პ.ს. „აიტექნიკის“ დავის განხილვა. განვლილი პერიოდის ანალიზის საფუძველზე, ვფიქრობ, საქმის სააპელაციო წესით განხილვის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ კომპანია „აიპლიუსმა“ კვლავ განაგრძოს მსგავსი მეთოდების გამოყენება თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ.

– მიუხედავად იმისა, რომ არანაირი შეხება არ გამაჩნია ამ კომპანიების საქმიანობასთან და დღემდე არ არსებობს არც ერთი დადასტურებული ფაქტი სამართალწარმოების პროცესში ჩემ მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების რაიმე სახით გამოყენებისა, ვთვლი, რომ საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის შემთხვევაში, ჩემი თანამდებობრივი სტატუსის გამო, ფორმალურად, მაგრამ მაინც შესაძლებელია გაჩნდეს გარკვეული შეკითხვები.



ჩემთვის ძვირფასია თითოეული ჩემი კოლეგა, რომლებთანაც მრავალი ერთად გატარებული წარმატებული წელი მაკავშირებს და მეამაყება, რომ წილად მხვდა პატივი წლების განმავლობაში ვყოფილიყავი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი და ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ინოვაციური სასამართლოს თავმჯდომარე. ჩემს თანამდებობრივ მდგომარეობაზე მაღლა ვაყენებ მოსამართლეების და მთლიანად სასამართლოს ინტერესებს. შესაბამისად, საზოგადოებაში ამ საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერი ეჭვის გამორიცხვის და მოსალოდნელი შეკითხვების თავიდან აცილების მიზნით, მართებულად მიმაჩნია, დავტოვო სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობა და ჩემი სამოსამართლო ვადის ფარგლებში გავაგრძელო მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარის ფუნქციების განხორციელება, – ნათქვამია ვალერი ცერცვაძის განცხადებაში.

## შსს: „ბიზნესმენ ბუბა ქებურიას სახლიდან ნახევარი მილიონი დოლარის მოპარვის ფაქტი არ დასტურდება“

– ბიზნესმენ ბუბა ქებურიას სახლიდან ნახევარი მილიონი დოლარის მოპარვის ფაქტი არ დასტურდება.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს.

როგორც უწყებაში აღნიშნავენ, დასტურდება ქურდობის ფაქტი, თუმცა კონკრეტულად რა არის მოპარული ქებურიას სახლიდან, გამოძიება სწავლობს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით მიმდინარეობს. შემთხვევა ძველ თბილისში რამდენიმე დღის წინ მოხდა.

## სოსო ჯოხაძის მკვლელობისთვის ბრალდებულს 19 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ ვაკეში მომხდარი მკვლელობის საქმეზე ბრალდებულს 19 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.




საქალაქო სასამართლოს ინფორმაციით, წარდგენილი ბრალის თანახმად, ბადრი ნ.-ს ბრალად ედებოდა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება, ასევე განზრახ მკვლელობის მცდელობა ორი ან მეტი პირის მიმართ და განზრახ მკვლელობა. მასვე, ბრალად ედებოდა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ.

საქმე ეხება 2016 წლის სექტემბერში მომხდარ შემთხვევას, რა დროსაც ბრალდებულმა ბადრი ნ.-მ, მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღიდან, განახორციელა მრავლობითი გასროლა ავტომანქანის მიმართულებით. შედეგად, მარჯვენა სავარძელზე მჯდომი ზ. ჩ. დაიჭრა, ხოლო საჭესთან მჯდომი ს. ჯ. მრავლობითი ცეცხლნასროლი ჭრილობებით ადგილზე გარდაიცვალა.

– ღია სასამართლო სხდომებზე, წარდგენილი ბრალი ბადრი ნ.-მ ნაწილობრივ აღიარა და არ დაეთანხმა ზ. ჩ.-ს მიმართ მკვლელობის განზრახვის ბრალდებას.

სასამართლომ მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და სხდომებზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადგენილად მიიჩნია ბადრი ნ.-ს მხრიდან ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენის ფაქტები. შესაბამისად, სასჯელთა ნაწილობრივ შეკრების, შთანთქმის პრინციპის გამოყენებითა და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ ბრალდებულს სასჯელის სახედ და ზომად 19 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, – ნათქვამია სასამართლოს განცხადებაში.

## თურქეთში მოკლული ქართველი ქალის ოჯახი სრულფასოვანი გამოძიების ჩატარებას მოითხოვს



თურქეთში მოკლული ქართველი ემიგრანტის ოჯახი თურქეთისა და საქართველოს ხელისუფლებას დახმარებას სთხოვს.

ოჯახის თქმით, ახალგაზრდა ქალი საეჭვო ვითარებაშია გარდაცვლილი, რაზეც შესაბამისმა ორგანოებმა გამოძიება უნდა დაიწყონ.

– თურქეთიდან ექსპერტიზის ფურცელი ჩამოგვივიდა, სადაც წერია, რომ ელენე მოკლულია. ელენე რომ მოკლულია, ამას ჩვენც კარგად ვხედავთ, მაგრამ ოჯახის კითხვები არის ის, რომ როგორ და რა ვითარებაში მოხდა ჩვენი გოგოს მკვლელობა. ქართულ და თურქულ მხარეს გამოძიების მეტად დაინტერესებისკენ მოვუწოდებთ, – განუცხადა ჟურნალისტებს თამარ ლომჯაძემ.

თურქეთში წამებით მოკლული 34 წლის ქართველი, ელენე გოქაძე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ კვალითის მკვიდრი იყო. მკვლელობაში ბრალდებული მამაკაცი თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე დააკავა.

# ნინო ადამაშვილი რუსთავი 2-ს სასამართლოში უჩივის

## სკანდალი „მის მკერდის“ გარშემო

კონკურსი „მის მკერდი“ ყოველთვის სკანდალების ეპიცენტრშია. გამონაკლისი არც წელს აღმოჩნდა. რატომ უჩივის სასამართლოში „მის მკერდის“ ორგანიზატორი რუსთავი 2-ის ორ პროექტს? – ამ და სხვა საინტერესო დეტალებზე „ახალ თაობას“ ნინო ადამაშვილი ესაუბრება.

**ნინო ადამაშვილი:**

– მოდელმა ანა გოგიბერიძემ ჩვენი კონკურსი „მის მკერდი“ ფინალამდე ერთი თვით ადრე დატოვა. მიზეზი მამამისი იყო, რომელიც სასულიერო პირია და მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა შვილის ასეთი ტიპის კონკურსში მონაწილეობის მიღება. მოგეხსენებათ, ამ კონკურსს თამამი ფორმატი აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ანა გოგიბერიძემ კონკურსი დროზე ადრე დატოვა, ამ საკითხს ადამიანურად მოვეკიდე და მას ჯარიმა არ გადავახდევინე. აღმოჩნდა, რომ ამ გოგონამ მუშაობა რუსთავი 2-ში დაიწყო. სწორედ ის დამიკავშირდა „იქს ფაქტორიდან“. ამ გოგონას „იქს ფაქტორის“ პროდიუსერმა ჩემთან დაკავშირება სთხოვა. მათ ასეთი რამ შემომთავაზეს: ჩვენი შარშანდელი კონკურსის გამარჯვებულს, „მის ინტელექტ 2016“-ს, ეკატერინე ხვედელიძეს ემღერა და სცენაზე მოდელი გოგონები გასულიყვნენ. მთხოვეს, იქ წლევანდელი მონაწილეებიც მიმეყვანა. ჩემი რეაქცია ძალიან მწვავე იყო.

***– რატომ?***

– დავიწყოთ იქიდან, რომ ეკატერინე ხვედელიძე ვერ მღერის, მას სმენა არ აქვს. როგორც მოდელი, კარგი გოგონაა, თუმცა, როგორც მომღერალი, არის ნული. აქედან გამომდინარე, მაშინვე მივხვდი, რომ ეკატერინეს გამოსვლა „იქს ფაქტორში“ სჭირდებოდათ მხოლოდ „პრიკოლებისთვის“ და სწორედ ამიტომ ვთქვი სასტიკი უარი. მე მათ ვუთხარი, არ ვუშვებ წლევანდელ კონკურსანტებს და თქვენც გეკრძალებათ მონაწილეობის მიღება-მეთქი.

***– ეს აკრძალვა მხოლოდ სიტყვიერი იყო თუ ხელშეკრულებაშიც ეწერა?***

– სიტყვიერი აკრძალვა იყო, რადგან ხელშეკრულებაში მსგავსი პუნქტი არ გვაქვს. თუმცა, ამ მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, 2017 წლის ხელშეკრულებაში უკვე შევიტანეთ ეს პუნქტი, რომ ორგანიზატორებთან და ჩემთან შეთანხმების გარეშე ვერცერთ სატელევიზო თუ სოციალურ პროექტში კონკურსის სახელით ვერავინ მიიღებს მონაწილეობას.

***– ხელშეკრულების მიხედვით, მათთვის კანონიერი აკრძალვის უფლება არ გქონდათ.***

– მათ კატეგორიულად ვუთხარი, რომ არ უნდა გასულიყვნენ, თორემ ამას ჩემი მხრიდან ძალიან მწარე რეაქცია მოჰყვებოდა.

***– რეალურად, ეს მათი არჩევანი იყო და თქვენ კონტრაქტის გარეშე ამის აკრძალვის უფლება არ გქონდათ.***

– მსგავსი პუნქტი იურიდიულად არ ყოფილა კონტრაქტში ჩაწერილი, მაგრამ იმის იურიდიული უფლება ხომ მაქვს, მოვითხოვო, ჩემი კონკურსის სახელწოდებით არ ისარგებლონ? „მის დეკოლტე 2016“, ნინო ჭელიძის გარდა, რომელიც ნამდვილად ჩვენი გამარჯვებულია, კიდევ ორი ცრუ კონკურსანტი იყო. ერთი გახლდათ ანა გოგიბერიძე, რომელსაც ვიცნობ და ფინალზე საერთოდ არ მოსულა, არც არანაირი ნომინაცია აუღია. ანა გოგიბერიძე სცენაზე გამოვიდა ტიტულით „მის სექსუალურობა 2016“ რაც აბსურდია.

მოდელ ინგა ვასაძეს კი არ ვიცნობ. მაქვს ინფორმაცია, რომ იქ გამომსვლელ თითო კონკურსანტს 100 დოლარი გადაუხადეს. თუმცა, ამის დადასტურება არ შემიძლია. თანხა აიღეს თუ არა, ამას საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა, არცერთ მათგანს ჩემი სახელით გამოსვლის უფლება არ ჰქონდა.

მათ „ფეისბუქის“ გვერდის მეშვეობით დააანონსეს, რომ „იღბლიან ბორბალში“ იყვნენ მიწვეულები. ეს ანონსი რომ ვნახე, ამაზე უარესად გავბრაზდი. ანი გოგიბერიძესთან სატელეფონო საუბრის ჩანაწერი მაქვს, რომელშიც მას ვეუბნები, რომ ასეთ პროექტში ჩემი კონკურსის სახელით რომ გამოსულიყვნენ, არ მინდოდა.

ჩანაწერში მას მუქარის ტონითაც კი ვესაუბრები და ვეუბნები, უფლება არ გაქვს გახვიდე კონკუსის სახელით და თან გაიყვანო კიდევ სხვა ყალბი კონკურსანტები-მეთქი. გოგიბერიძემ სატელეფონო საუბარში მითხრა, რუსთავი 2 მაწვება, რომ ეს გოგოები გავიყვანოო. ისიც მეყოფა, რაც დამცინეთ და დასცინეს კონკურსს-მეთქი, ვუთხარი.

მინდა, რომ ეს ჩანაწერი საქმის აღძვრამდე მოისმინოთ. ეს იქნება ჩვენგან წარმოდგენილი ერთ-ერთი მტკიცებულება. ჩვენს უფლებებს ადვოკატი ზინაიდა დავითაშვილი დაიცავს. ანა გოგიბერიძე ამბობს, რომ ის არის „მის სექსუალურობა“, რაც ტყუილია, რადგან ამ ტიტულის მფლობელი თამთა ჯობავაა. ასევე ინგა ვასაძე გამოვიდა „მის შარმი 2016“-ის ტიტულით, რაც ასევე ტყუილია, რადგან „მის შარმი 2016“ ლიკა ირემაშვილია. გარდა იმისა, რომ მათ გამოიყენეს კონკურსის სახელი, მიითვისეს სხვისი ნომინაციებიც.



გადაცემის პროდიუსერს როცა ვესაუბრე, მითხრა, თუ თვითონ ეს გოგონები არ იტყვიან, რომ ისინი ამ კონკურსის მონაწილეები არიან, ჩვენ არ ვახსენებთო. პროდიუსერმა ეს პირობა დაარღვია მაშინ, როცა გადაცემის ანონსი გავიდა. ანონსში თქვეს, რომ „მის მკერდის“ გოგონები გამოდიოდნენ, არადა, მათგან მხოლოდ ეკატერინე ხვედელიძე იყო ჩვენი კონკურსის მონაწილე, დანარჩენები კი ყალბი კონკურსანტები იყვნენ.

ჩვენი კონკურსი საქველმოქმედო ხასიათისაა და ანორექსიასთან ბრძოლას ეძღვნება. ჩვენი პროექტი უერთდება კამპანიას „მსოფლიო ანორექსიის წინააღმდეგ“.

გოგონების სცენაზე გამოსვლისას წამყვანებისგან ასეთი ტიპის ფრაზები ისმოდა – „ინტელექტუალური ძუძუები“, „ძუძუებს გირტყამთ თავში“ (რუსკა მაყაშვილი). ჩვენ შთავაგონებთ გოგონებს, რომ იყვნენ ფუმფულები და ისეთები გამოვიდნენ სცენაზე, როგორებიც არიან. სულაც არ არის საჭირო, იშიმშილონ.

ჩვენ გვაქვს ინტელექტუალური ტური, სადაც გოგონები ტიტულს მათი ინტელექტიდან გამომდინარე იღებენ. იმ გადაცემაში კი ისე გამოიყვანეს, თითქოს ჩვენ ტიტული „ძუძუებს“ მივეცით და არა ინტელექტს.

***– რას აპირებთ?***

– ამასთან დაკავშირებით ბრიფინგი გვქონდა, გვინდოდა, 24 საათის განმავლობაში პროექტის პროდიუსერებს მოეხადათ ბოდიში და არა რუსთავი 2-ის ხელმძღვანელობას. თუმცა ბოდიში არავის მოუხდია. ახლა უკვე ჩვენი ადვოკატი დაიწყებს საქმის წარმოებას. სარჩელს სასამართლოში აუცილებლად შევიტანთ.

***– სასამართლოს მეშვეობით ბოდიში უნდა მოახდევინოთ მათ თუ ფულად ჯარიმას მოითხოვთ?***

– ჩამოვყალიბდებით, რა შეიძლება ჩვენი მოქმედების მაქსიმუმი იყოს და ამის შესაბამისად ვიმოქმედებთ.

***– რატომ არის კონკურსი „მის მკერდი“ სულ სკანდალების ეპიცენტრში?***

– სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რატომ ხდება სასკანდალო თემა. მაგალითად, შარშან პოლიტიკურმა პარტიებმა, ენჯეოებმა მწვავე კომენტარები გააკეთეს. არადა, კონკურსი მკერდის კიბოს ეძღვნებოდა.

❖ ❖ ❖

„ახალი თაობა“ „X ფაქტორის“ მონაწილე ეკატერინე ხვედელიძესაც დაუკავშირდა.

***– სინამდვილეში რა მოხდა?***

– რა უნდა მომხდარიყო, არაფერი. ჩვეულებრივი შოუ გავაკეთეთ და გავიტანეთ „X ფაქტორში“.

***– როგორც ნინო ადამაშვილი ამბობს, თქვენთან 2 გოგონა იყო, რომლებმაც „მის შარმისა“ და „მის სექსუალურობის“ ტიტულები მიითვისეს, ერთმა „მის მკერდის“ კონკურსი ფინალამდე დატოვა და მეორეს საერთოდ არ იცნობს.***

– იყო ერთ-ერთი გოგონა, ინგა ვასაძე, რომელსაც „მის მკერდის“ კონკურსში მონაწილეობა არ მიუღია და „X ფაქტორშიც“ არავის უხსენებია, რომ „მის შარმი“ ნინო ადამაშვილის კონკურსი „მის შარმი“ იყო. არ იყო ეს დასახელებული. ამიტომ ადამაშვილი ტყუილად ნერვიულობს ამ თემაზე.

***– ნინო ადამაშვილი ამბობს, რომ ვერ მღერით. მართალია?***

– ნინო ადამაშვილმა საერთოდ არ იცის, მე ვმღეროდი, ვმღერი თუ საერთოდ როგორი ხმა მაქვს. ვმღეროდი ძალიან ბევრგან. „X ფაქტორთან“ ინტერვიუს დროს ვთქვი, რომ 10 წელია თითქმის, არ მიმღერია, დღეს არ ვიცი, ვცდი-მეთქი. მე ვფიქრობ, ძალიან დადებითი და პოზიტიური შოუ გავაკეთეთ. ძალიან მომეწონა. ვერ ვმღერი – არ არის ეს სიმართლე, რადგან მე ვმღერი ბავშვობიდან. ბაღის მასწავლებელმა თავად შემიყვანა მუსიკალურში. უბრალოდ, გაციებული ვიყავი და ეს ჩემთვის დიდი შოკი იყო, რადგან გაციების გამო ხმა ჩამიწყდა.

**გიორგი საკარული**

# ტრამპი ბრიუსელში მაკრონს შეხვდა



ნატო-ს სამიტის ფარგლებში, აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს შეხვდა.

შეხვედრა ბრიუსელში, აშშ-ის საელჩოში გაიმართა. საელჩოს კართან საფრანგეთის პრეზიდენტს დონალდ ტრამპი და აშშ-ის პირველი ლედი მელანია ტრამპი დახვდნენ.

– ჩვენ ბევრი რამ გვაქვს განსახილველი, პირველ რიგში, ტერორიზმთან ბრძოლის საკითხი, – განაცხადა შეხვედრის დაწყებამდე აშშ-ის პრეზიდენტმა.

თავის მხრივ, ემანუელ მაკრონმა აღნიშნა, რომ მოხარულია პრეზიდენტ ტრამპთან შეხვედრით.

– ჩვენ ფართო დღის წესრიგი გვაქვს: ტერორიზმთან ბრძოლა, ეკონომიკა, კლიმატთან და ენერგეტიკასთან დაკავშირებული საკითხები. მოხარული ვარ ამ შეხვედრით და იმ შესაძლებლობით, რომ ერთად ბევრი რამის შეცვლას შევძლებთ, – დასძინა საფრანგეთის პრეზიდენტმა.

# რექს ტილერსონი: „რუსეთის დიდ შვიდეულში დაბრუნება გამორიცხულია“

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა განაცხადა, რომ რუსეთის დიდ შვიდეულში დაბრუნება გამორიცხულია.

– მიზეზი დონბასში შექმნილი მდგომარეობაა! – ამბობს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი.

ტილერსონმა აღნიშნა, რომ მინსკის შეთანხმებები არ სრულდება. შედეგად დონბასში მდგომარეობა გართულდა. მშვიდობიან მოსახლეობას შორის მსხვერპლი მკვეთრად გაიზარდა და ამაზე პასუხისმგებელი ცალსახად რუსეთია.

– სანამ მოსკოვი მინსკის შეთანხმებებს ბოლომდე არ შეასრულებს ანუ დონბასიდან ჯარს არ გაიყვანს, რუსეთის დიდ შვიდეულში დაბრუნებაზე ლაპარაკი არ შეიძლება! – განაცხადა ტილერსონმა.



# ლიბიაში მანჩესტერელი ტერორისტის უმცროსი ძმა დააკავეს

ლიბიაში მანჩესტერელი თვითმკვლელი ტერორისტის სალმან აბედის უმცროსი ძმა დააკავეს. ვარაუდობენ, რომ ის დანაშაულის თანამონაწილეა.

სალმან აბედის მამა აცხადებს:

– შეუძლებელია, ჩემს შვილს ასეთი რამ ჩაედინა!

სალმან აბედი კარგა ხანია, სპეცსამსახურების ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა. ვარაუდობდნენ, რომ მას ექსტრემისტებთან ჰქონდა კავშირი. მიუხედავად ამისა, აბედიზე კონტროლი არ გაძლიერებულა.





# ბრაზილია: დაწვეს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ბრაზილიაში საპროტესტო აქციებია. ქუჩაში 35.000 ადამიანია გამოსული. ისინი ეკონომიკური რეფორმების შეჩერებასა და პრეზიდენტის გადაყენებას მოითხოვენ.

მანიფესტაცია მშვიდობიანად დაიწყო, შემდეგ კი პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა. დემონსტრანტებიდან 1 დაშავდა, რამდენიმე კი დააკავეს. პასუხად მანიფესტანტებმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცეცხლი წაუკიდეს.

ბრაზილიის დედაქალაქში 3.000-მდე პოლიციელია მობილიზებული.

# ტერაქტი ჯაკარტაში

ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში ტერაქტი მოხდა. აფეთქების ხმა ავტოვაგზლის მახლობლად გაისმა. დაიღუპა 3 პოლიციელი.

მომხდარი ფაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



# ბრიტანული იახტა ვეშაპს შეეჯახა და ჩაიძირა

დიდი ბრიტანეთის სამი მცხოვრები გადაარჩინეს იახტიდან, რომელიც ვეშაპთან შეჯახების შედეგად იძირებოდა. ამ ინფორმაციას გამოცემა დეილი მირორი ავრცელებს.

ბრიტანული იახტა ვეშაპს ატლანტის ოკეანეში პორტუგალიის კუნძულ ტერსეირადან, რომელიც აზორის არქიპელაგში შედის, ჩრდილო-დასავლეთით 570 კილომეტრის მანძილზე შეეჯახა. იახტაზე მყოფები არ დაშავებულან, თუმცა თავად ხომალდი დაზიანდა და ჩაძირვა დაიწყო.

ეკიპაჟის მიერ გაგზავნილი უბედურების მაუწყებელი სიგნალი პორტუგალიელმა მაშველებმა მიიღეს. მათ იახტსმენების მოსაძებნად ორი სამხედრო თვითმფრინავი გაგზავნეს, თუმცა მანამდე მეზღვაურების აყვანა იქვე ახლოს აღმოჩენილმა სავაჭრო ხომალდმა მოასწრო, რომელიც ლიბერიის დროშით ავილესის პორტისკენ მიცურავდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ამერიკელმა საკუთარ ავტოფარეხში პითონი დაიჭირა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ პემბროკ-პაინსის მცხოვრებმა საკუთარ ავტოფარეხში 2,4 მეტრი სიგრძის პითონი დაიჭირა.

ჯოზეფ ლისკინსკიმ გველი იმ დროს შენიშნა, როდესაც ძაღლი სასეირნოდ გამოიყვანა.

– მართალია, გულის შეტევა არ დამმართნია, თუმცა მაშინვე სისხლში ადრენალინის მოზღვავება ვიგრძენი, გული ძალუმად ამიძგერდა, – განაცხადა მან.

მამაკაცმა ძაღლი სახლში შეიყვანა, შემდეგ ავტოფარეხში დაბრუნდა. მას გაახსენდა ცხოველებზე ტელეგადაცემაში ნანახი მომენტი და რეპტილია იატაკის საწმენდი ჯოხის დახმარებით კუთხეში მიიმწყვდია.

პითონმა მამაკაცს თითებზე უკბინა, თუმცა ჭრილობა სახიფათო არ გამოდგა. ამიტომ ლისკინსკიმ დახმარებისთვის ექიმს არ მიმართა.

– მთავარი ის არის, რომ გველს ჩემი ძაღლი არ გადააწყდა, – ამბობს მამაკაცი, – თორემ გაგუდავდა, გამიმართლა, რომ პითონი დავინახე.

დაჭერილი რეპტილია შემთხვევის ადგილზე გამოძახებით მისულმა ბუნების დაცვის უწყების წარმომადგენლებმა წაიყვანეს. მათი თქმით, ცხოველს დააძინებენ.

**ლია ბარნაბიშვილს, გოჩა გელაშვილს, თამარ მდივანსა და მერაბ გელაშვილს**

2017 წლის 05 აპრილს ვაჟა კესაევის ბინიდან მდებარე თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ.№10 ს/კ 01.16.05.011.001.01.007 გატანილი იქნა თქვენი პირადი ნივთები, რომლებიც აღწერილია აღმასრულებლის მიერ დეტალურად და შენახულია დაცულ შენობაში.

გთხოვთ, ჩემთან შეთანხმებით, უმოკლეს ვადაში წაიღოთ თქვენი ნივთები, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ შესაბამის ზომებს და პასუხს არ ვაგებთ სახლიდან გატანილ თქვენს ნივთებზე.

პასუხი გთხოვთ მაცნობოთ წერილობით, თბილისი, ხიდის ქ.№1 ან დამიკავშირდით მობილურ ტელეფონზე: 599-95-70-69.

**ვაჟა კესაევის წარმომადგენელი, ადვოკატი ხათუნა ხურცილავა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით.აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი..
- ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.
- სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# მანჩესტერი ევროპის ლიგის გამარჯვებულია



### აიაქსი-მანჩესტერი 0:2
**სტოკჰოლმი. ფრენდს არენა**
**0:1 პოგბა (18), 0:2 მხითარიანი (48)**

**აიაქსი:** ონანა, დე ლიგტი, დ.სანჩესი, რიდევალდი (ფ.დე იონგი 82), ველტმანი, შონე (ბან დე ვიკი 70), ზიეჩი, კლაასენი, იუნესი, ტრაორე, დოლბერგი (კამპოსი 62)

**მანჩესტერი:** რომერო, ბლინდი, სმოლინგი, დარმიანი, ვალენსია, პოგბა, ერერა, ფელაინი, მხითარიანი (ლინგარდი 74), მატა (რუნი 90), რეშფორდი (მარსიალი 84)

წლის პირველმა ევროტიტულმა თავისი მფლობელი სტოკჰოლმში იპოვა, სადაც ერთმანეთს გამოცდილება და ახალგაზრდობა, სოლიდურობა და აზარტი, დაცვა და შეტევა ეცილებოდნენ. საბოლოოდ მანჩესტერ იუნაიტედმა გატეხა აიაქსი და წლის პირველი ტიტულის მფლობელი გახდა.

სამართლიანია ფინალის შედეგი? ვიტყვით, რომ – კი. აიაქსი ცდილობდა, ფეხბურთი ეთამაშა, მანჩესტერი კი უფრო შედეგზე იყო ორიენტირებული, რამაც გამოილო კიდეც ნაყოფი. გამარჯვებულებს არ ასამართლებენ... შესაძლოა, ინგლისური კლუბი შეტევაში არ იყო ისეთი, როგორიც ეს ფეხბურთის გულშემატკივრებს სურთ, მაგრამ დაცვაში ისე ითამაშა, რომ ახალგაზრდულ აიაქსს შანსი არ დაუტოვა.

მან, უბრალოდ, ჩახურა თამაში, რითიც აიაქსს არ მისცა იმის გამოვლენის საშუალება, რასაც ჰოლანდიური კლუბი ფინალამდე აკეთებდა და ფეხბურთის სტაჟიან გულშემატკივრებს სწორედ ძველი აიაქსი გაახსენა. მართალია, პიტერ ბოშის გუნდი ისეთივე აგრესიული იყო ართმევაზე, როგორც მანამდე, მაგრამ შეტევაში ფანტაზია დააკლდათ და ეს სწორედ მანჩესტერელთა დამსახურებაა.

მანჩესტერს ცოტა მომენტი ჰქონდა და სარგებლიანად გამოიყენა. თუმცა, დასაწყისში გაუმართლა კიდეც, როდესაც პოლ პოგბას დარტყმული ბურთი მცველისგან ასხლეტით შევარდა კარში. გაცილებით გამოცდილი გუნდი დაწინაურების შემდეგ კი უფრო მშვიდად გრძნობდა თავს. ჰენრიკ მხითარიანის მე-2 გოლის შემდეგ კი მოურინიოს გუნდი საერთოდ აუღელვებელი გახდა და ირწმუნა გამარჯვება. ასეც იყო, რადგან რაც უფრო დასასრულისკენ მიდიოდა თამაში, მით უფრო ეტყობა აიაქსს, რომ არაფრის გამკეთებელი იყო.

ისიც ვთქვათ, რომ ამსტერდამელთა ძირითადი შემადგენლობის საშუალო ასაკი 22 წელსა და 282 დღეს შეადგენდა, რაც აიაქსს ევროტურნირების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა გუნდის სტატუსს ანიჭებს, რომელმაც ფინალში ითამაშა.

თუმცა, ეს სულაც არ ადარდებდა მის მეტოქეს: მანჩესტერმა თავისას მიაღწია – ევროპის ლიგის ფინალის მოგებით მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშებს, რისი საგზურიც ინგლისის პრემიერლიგიდან ვერ მიიღო. ამის გამო ჟოზე მოურნიოს კრიტიკოსი ბევრი ჰყავდა, მაგრამ ევროპის ლიგის მოგება მშვენიერი ფარია თავის დასაცავად.

ჟოზე ამ მხრივ მართლაც განსაკუთრებულია – მის გუნდებს 14 დიდი ტურნირის ფინალი უთამაშიათ, საიდანაც პორტუგალიელის დამოძღვრილმა ფეხბურთელებმა 12 ტრიუმფით დაასრულეს.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი –** ხუან მატა.

პოგბასა და მხითარიანის გოლები ვერ შეძლებს, გადაფაროს მატას მიერ შესრულებული სამუშაო. საერთოდ, მანჩესტერს ღია და სანახაობრივი ფეხბურთი არ უჩვენებია, მაგრამ მატა დინების საწინააღმდეგოდ ცურავდა. ესპანელი ყველაზე გამორჩეული ფიგურა იყო ამ კუთხით, პლუს არც შავ სამუშაოს ერიდებოდა.

**ჟოზე მოურინიო:**

– ცუდ სეზონში, როდესაც ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ მსოფლიოში ყველაზე ცუდი გუნდი მყავს და მსოფლიოში ყველაზე ცუდი მწვრთნელი ვარ, სამი ტიტული მოვიგეთ და ჩემპიონთა ლიგაში ევროპალიგის მოგების ხარჯზე მოვხვდით და არა მეორე, მესამე ან მეოთხე ადგილზე გასვლით. ჩვენ იმის პატივი გვაქვს, რომ ევროპის სუპერთასზე ჩემპიონთა ლიგის მომავალ გამარჯვებულს შევხვდეთ. ასე რომ, ჩემი აზრით სეზონი მართლაც საუცხოო აღმოჩნდა. ჩემთვის ეს ჯილდო კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან ის ყველაზე ახალია. რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგა ევროპის ლიგაზე პრესტიჟულია, მაგრამ ეს ყველაზე ახალი ჯილდოა და გრძნობები ჯერ კიდევ ცინცხალია. მე ცხოვრებას ასე ვუყურებ.

**პიტერ ბოში:**

– მანჩესტერის ფეხბურთელებმა ფიზიკურად დაგვჯაბნეს. დიდი განსხვავებაა იმაში, ფიზიკურად ისინი როგორ თამაშობენ და ჩვენ. თუმცა, საქმე ეს არაა. ძალა ისაა, შენს სხეულს როგორც გამოიყენებ. ჩვენ ეს კიდევ უნდა ვისწავლოთ. ეს ჩვენი პირველი ფინალია. ეს ახალი ჩვენი ბიჭებისთვის, რადგან გამარჯვებისთვის უნდა ითამაშო და ისწავლო. თუმცა, ისინი ისწავლიან და, დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში უფრო ძლიერნი ვიქნებით.

# თბილისის დინამომ 10-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა

### ჩიხურა-დინამო (თბ) 2:1
**ივანწმინდა. ცენტრალური**
**1:0 განუგრავა (22), 2:0 ტატანაშვილი (27პ), 2:1 არაბული (43პ)**

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, მირცხულავა, განუგრავა, სარდალიშვილი (კაკუბავა 44), კორიფაძე, ტატანაშვილი (გელაშვილი 82), ჩიკვაიძე, დობროვოლსკი, კაშია, გორგიაშვილი, დეკანოიძე (ივანიშვილი 67)

**დინამო:** ლიტოვჩენკო, თოთაძე, ლოჩოშვილი, გველესიანი, მიშენკო (პაპუნაშვილი 80), ქარდავა, კიტეიშვილი, ზარია (ჩაკვეტაძე 61), მიქელთაძე, ლობჟანიძე (თევზაძე 68), არაბული

**გაძევება:** მირცხულავა (42)

საჩხერის ჩიხურამ საკუთარ სტადიონზე დაბრუნება გამარჯვებით აღნიშნა. ზემოიმერლებმა თბილისის დინამოს უმასპინძლეს და ეროვნული ლიგის ლიდერი მძიმე ბრძოლაში 2:1 დაამარცხეს.

მატჩი მასპინძელთა აქტიურობით დაიწყო და მომენტებიც ძირითადად დინამოელთა კართან იქმნებოდა. ანგარიში 22– წუთზე გაიხსნა: გიორგი კორიფაძის ჩაწოდების შემდეგ ბოგდან მიშენკომ ბურთი უხერხულად მოიგერია, დასწრებაზე კი, კარგად გიორგი განუგრავამ ითამაშა და ერთი შეხებით მარჯვენა დაბალ კუთხეში გაიტანა – 1:0.

ჩიხურამ მალევე ორბურთიანი უპირატესობა მოიპოვა. 27-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა ზუსტად დიმიტრი ტატანაშვილმა შეასრულა – 2:0.

ამის შემდეგ უკვე დინამო გააქტიურდა და თბილისელებმა შეტევებს უმატეს. ტაიმის ბოლოს საბა ლობჟანიძე შეიჭრა საჯარიმოში, მისი დარტყმული კი ბაქარ მირცხულავამ კარიდან ხელით გამოიტანა. მსაჯმა ჩიხურას ფეხბურთელი გააძევა და თერთმეტმეტრიანი დანიშნა. პენალტი ბაჩანა არაბულმა გაიტანა და ანგარიში შეამცირა – 2:1. პირველი ტაიმი ესეც დასრულდა.

მეორე ნახევარი დინამომ აქტიურად დაიწყო. 55-ე წუთზე მიშენკომ შეუტია მარჯვენა ფრთიდან, სახიფათოდ ჩააწოდა საჯარიმოში, იქ კი კი საბა ლობჟანიძეს ბოლო წამს მეკარემ აჯობა. მატჩი დინამოელთა ტერიტორიული უპირატესობით გაგრძელდა, მაგრამ დედაქალაქელთა არაერთი მცდელობის მიუხედავად საქმე რეალურ სახიფათო მომენტამდე არ მისულა. საბოლოოდ შეხვედრა ჩიხურას გამარჯვებით 2:1 დასრულდა.

ამ მარცხით დედაქალაქურმა კლუბმა ათმატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა.



### სამტრედია-საბურთალო 3:2
**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**
**1:0 გ.მანჯგალაძე (9), 2:0 სანდოხაძე (19), 2:1 ფანცულაია (52), 3:1 ბერიაშვილი (57), 3:2 ბერიაშვილი (67სკ)**

89-ე წუთზე სანდოხაძემ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, მთივლიშვილი, კასრაძე, სანდოხაძე, მჭედლიშვილი, გ.მანჯგალაძე, დათუნაიშვილი, ბელოვი (სამუშია 63), რაჟამაშვილი (დ.მანჯგალაძე 90), ჯიქია (მარკოზაშვილი 69), ბერიაშვილი

**საბურთალო:** კუპატაძე, შინდაგორიძე, მამუჩაშვილი, ცნობილაძე, სოფრომაძე, ელვინ ტერა (ალთუნაშვილი 75), არზიანი (ფიფია 62), ჩოგაძე (ვაგნერი 62), იმნაძე, გვარაძე, ფანცულაია

სამტრედიამ თბილისის საბურთალოს უმასპინძლა და მიუხედავად მეტოქის საკადრო პრობლემებისა გაჭირვებით იმარჯვა.

ანგარიში მე-9 წუთზე მასპინძლებმა გახსნეს: გიორგი მჭედლიშვილის წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო დარტყმა ზუსტად გიული მანჯგალაძემ შეასრულა. აღსანიშნავია, რომ იმერელთა ნახევარმცველმა მიმდინარე სეზონში უკვე მეორე საჯარიმო გაიტანა.

მატჩი ორმხრივი შეტევებით გაგრძელდა და გოლი კვლავ სამტრედიამ გაიტანა. მე-19 წუთზე მანჯგალაძის მოწოდებული კუთხურის შემდეგ მეტოქის კარი ნიკა სანდოხაძემ აიღო. პირველი ნახევრის დარჩენილ დროში მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

სტუმრებმა სხვაობის შემცირება მეორე ტაიმის სტარტზევე მოახერხეს. 52-ე წუთზე გვარაძე-სოფრომაძის კომბინაცია გიორგი ფანცულაიამ დააგვირგვინა. გატანილი გოლის შემდეგ სათამაშო უპირატესობას საბურთალო დაეუფლა და მეტოქის კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა. მიუხედავად ამისა, გოლი მაინც მასპინძლებმა გაიტანეს. 57-ე წუთზე საკუთარი გუნდის სწრაფი კონტრშეტევა გოლად გიორგი ბერიაშვილმა აქცია. საბურთალომ სხვაობა კიდევ ერთხელ შეამცირა. 67-ე წუთზე ბექა გვარაძის ჩაწოდების შემდეგ ბურთი საკუთარ კარში ბერიაშვილმა ჩაჭრა.

თამაში ორმხრივი შეტევებით გაგრძელდა, სახიფათო მომენტები ორივე გუნდის კართან მრავლად შეიქმნა. 89-ე წუთზე სამტრედიელებმა პენალტის დარტყმის უფლებაც კი მოიპოვეს, მაგრამ ნიკა სანდოხაძემ სტანდარტი ცუდად შეასრულა და შეხვედრაც 3:2 დასრულდა.

### შუქურა-დინამო (ბთ) 2:4
**ქობულეთი. ჩელე არენა**
**1:0 კუტალია (7პ), 1:1, 1:2 კვასოვი (10, 53), 1:3 ტვილდიანი (64), 2:3 არქანია (68), 2:4 გორელიშვილი (81)**

**შუქურა:** სტურუა, ცეცხლაძე, კალანდაძე, ჭეჟია, ჩაჩუა, მალაზონია (რუდნიცკი 63), ჯეფინიო (ჭეჭელაშვილი 68), კლიმიაშვილი (არქანია 55), კუტალია, ს.გურული, შალამბერიძე

**დინამო:** ტაკიძე, ფარტენაძე, გოგიტიძე, კვირკველია, ტვილდიანი, კენედი (მგელაძე 85), თარხნიშვილი, ფონიავა (გორელიშვილი 73), შონია, თევდორაძე (კვანტალიანი 71), კვასოვი

წარუმატებელი სერია შეწყვიტა ბათუმის დინამომ. ქობულეთის „ჩელე არენაზე" აჭარულ დერბიში ბათუმელები ქობულეთის შუქურას დაუპირისპირდნენ და 4:2 დაამარცხეს მეტოქე.

მატჩი ორმხრივი შეტევებით წარიმართა და მაყურებელმა საინტერესო და უხვგოლიანი სანახაობა იხილა. ანგარიში მე-7 წუთზე გაიხსნა, როდესაც ლევან კუტალიამ თავისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი შეასრულა ზუსტად.

დინამოს ანგარიშის გასათანაბრებლად დიდი დრო არ დასჭირვებია. მე-10 წუთზე უგოალა კენედის გამჭოლი პასის შედეგად იაროსლავ კვასოვმა გაიტანა. პირველი ტაიმის დარჩენილ დროში ორივე გუნდი ცდილობდა ანგარიშის შეცვლას, მაგრამ საინტერესო არაფერი მომხდარა.

მეორე ნახევარი ბათუმელთა აქტიურობით განახლდა და 53-ე წუთზე მათ დაწინაურებაც მოახერხეს. თავური დარტყმით დუბლი იაროსლავ კვასოვმა გაიფორმა. 64-ე წუთზე ამირან მუჯირის გუნდის უპირატესობა ორბურთიანი გახდა – გოლი არჩილ ტვილდიანის ანგარიშზეა.

ამის შემდეგ მასპინძლებიც გააქტიურდნენ და მეტოქის კართან რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. საბოლოოდ 68-ე წუთზე გიორგი არქანიამ ტექნიკურად ითამაშა, ერთი მეტოქე ჩამოიშორა და რომან ტაკიძეს ახლო კუთხეში გაუტანა.

ქობულეთელებმა ანგარიშის გათანაბრებაც ცადეს, მაგრამ გოლი კვლავ ბათუმელებმა გაიტანეს და საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს. 81-ე წუთზე უგოალა კენედის შორეული გადაცემის შემდეგ მეკარესთან პირისპირ მიხეილ გორელიშვილი დარჩა და შემტევს გოლის გატანა არ გასჭირვებია.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 14 | 10 | 1 | 3 | 27-9 | 31 |
| 2.ტორპედო | 14 | 8 | 4 | 2 | 20-9 | 28 |
| 3.სამტრედია | 14 | 8 | 2 | 4 | 19-15 | 26 |
| 4.ლოკომოტივი | 14 | 6 | 3 | 5 | 27-17 | 21 |
| 5.ჩიხურა | 14 | 6 | 2 | 6 | 18-19 | 20 |
| 6.საბურთალო | 14 | 6 | 1 | 7 | 18-17 | 19 |
| 7.დილა | 14 | 4 | 6 | 4 | 15-15 | 18 |
| 8.დინამო (ბთ) | 14 | 5 | 1 | 8 | 14-18 | 16 |
| 9.კოლხეთი | 14 | 4 | 2 | 8 | 15-25 | 14 |
| 10.შუქურა | 14 | 0 | 4 | 10 | 8 -37 | 4 |

**ბომბარდირები:** ირაკლი სიხარულიძე (ლოკომოტივი) – 11 ბურთი; ბაჩანა არაბული (დინამო თბ) – 9; მიკოლა კოვტალიუკი (კოლხეთი), მამია გავაშელიშვილი (ლოკომოტივი) 8-8, დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 7.

# შერმადინისა და ბურჯანაძის ანდორამ რეალთან წააგო



წარუმატებლად დაიწყო საპლეიოფო სერია გიორგი შერმადინისა და ბექა ბურჯანაძის ანდორამ. ქართველმა ცენტრმა ტრადიციას არ უღალატა და მოედანზე მყოფთაგან საუკეთესო იყო, თუმცა მას თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს და მადრიდში გამართული მეოთხედფინალური სერიის პირველი მატჩი ანდორელებმა რეალთან უშანსოდ, 76:107 წააგეს.

შერმადინმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე მყოფთაგან საუკეთესო შედეგი დააფიქსირა. მისმა მარგი ქმედების კოეფიციენტმა 25 შეადგინა. ქართველმა ცენტრმა 25 წუთში 21 ქულა, 6 მოხსნა (3 შეტევაში), 2 ჩაჭრა და 2 დაფარება მიითვალა. შერმადინმა 10-დან 7 ორქულიანი და 9-დან 7 საჯარიმო ჩააგდო.

მეოთხედფინალის მე-2 მატჩს უკვე ანდორელები უმასპინძლებენ და იმედია, მასში მონაწილეობას ბექა ბურჯანაძეც მიიღებს, რომელმაც გასვლითი მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა. თუკი ქართველთა გუნდმა წონასწორობის აღდგენა მოახერხა, გადამწყვეტი შეხვედრა მადრიდში ჩატარდება.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## შედეგები

**24 მაისი**
**ფეხბურთი**

**უეფას ევროპის ლიგა**
**ფინალი**

აიაქსი-მანჩესტერი ........................ 0:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**
**პლეი ოფი**

პანიონიოსი-პაოკი ........................ 0:1
პანათინაიკოსი-აეკი ........................ 1:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვაასა-ილვესი ........................ 0:2
კუუპიო-სეინეიოკი ........................ 1:1
როვანიემი-ჯჯკ ........................ 2:1

# სუპერლიგა ბათუმმა დატოვა



### მგზავრები-ბათუმი 101:69
**(26:17, 12:23, 37:18, 26:11)**

გაირკვა ის გუნდი, რომლის ადგილსაც სუპერლიგის 2017-18 წლების სეზონში მარნეულის დელტა დაიკავებს. ა ლიგის გამარჯვებულმა ქვემოქართლურმა გუნდმა 3 კვირის წინ მოიპოვა სუპერლიგის საგზური, თუმცა უმაღლესი ლიგაში დასარჩენად ბრძოლა აქამდე გრძელდებოდა და მგზავრებისა და ბათუმის მატჩის შემდეგ გაირკვა, რომ აჭარული გუნდი სუპერლიგას დატოვებს.

დავით უსტიაშვილის გუნდმა სუპერლიგის რეგულარული ჩემპიონატის პირველი წრე მე-4 ადგილზე დაასრულა, თუმცა შემდეგ ბათუმელებს საქმეები აერიათ, შედეგიანობას უკლეს და რეგულარულის დასრულების შემდეგ საკვალიფიკაციო ეტაპში სუპერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მოუხდათ ბრძოლა.

სოხუმმა, ოლიმპმა და მგზავრებმა უმაღლეს ლიგაში დასარჩენად საკმარისი ქულები მოიპოვეს, ბათუმელებს კი არ გაუმართლათ – რეგულარულში წარუმატებლობა საკვალიფიკაციოშიც გაუგრძელდათ და საბოლოოდ ყველაფერი დასრულდა – ზღვისპირელებმა ბოლო ტურის მატჩი 69:101 დათმეს და სუპერლიგა დატოვეს.

არადა, პირველი ტაიმის შემდეგ შანსი ჯერ კიდევ ჰქონდათ, მაგრამ მესამე ათწუთეული მთლიანად ჩააგდეს და ელიტას დაემშვიდობნენ.

### სოხუმი-ოლიმპი 111:94
**(32:18, 23:30, 34:22, 22:24)**

გაიმართა საკვალიფიკაციო ეტაპის ერთი მატჩი, თუმცა ბათუმელთა მარცხის შემდეგ სოხუმისა და ოლიმპის მატჩს სატურნირო თვალსაზრისით მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა. ორივე მათგანს სუპერლიგაში ადგილი შენარჩუნებული აქვს. შეხვედრა სოხუმელებმა 111:94 მოიგეს.

საკვალიფიკაციოში დარჩენილია 1 მატჩი: ოლიმპი და მგზავრები ერთმანეთს შეხვდებიან და სეზონსაც დაასრულებენ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.სოხუმი | 34 | 14 | 202765-2885 | 48 |
| 2.მგზავრები | 33 | 13 | 202512-2595 | 46 |
| 3.ოლიმპი | 33 | 13 | 202439-2496 | 45 |
| 4.ბათუმი | 34 | 11 | 232633-2772 | 45 |



# რა უნდა ვიცოდეთ საშვილოსნოს ყელის დაავადებებზე

ეკა ირემაშვილი

ბოლო წლებში მთელ მსოფლიოში შეინიშნება ონკოდაავადებების სიხშირის მატება. განსაკუთრებით საყურადღებოა საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევების ზრდა ახალგაზრდა ასაკის ქალებში. ამიტომ ძალზე აქტუალურია საშვილოსნოს ყელის კიბოს პროფილაქტიკის საკითხები – დროული დიაგნოსტიკა და მისი პრეკლინიკური ფორმების მკურნალობა.

რა არის საშვილოსნოს ყელი, რა უნდა ვიცოდეთ საშვილოსნოს ყელის დაავადებებზე და როგორ ავირიდოთ თავიდან გართულებები? – ამ თემებზე არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის ექიმი-რეპროდუქტოლოგი, მეან-გინეკოლოგი, მედიცინის აკადემიური დოქტორი მაია პარკაული საუბრობს.



**მაია პარკაული:**

– სამწუხაროდ, ბოლო წლებში მთელ მსოფლიოში შეინიშნება ონკოდაავადებების სიხშირის მატება. განსაკუთრებით საყურადღებოა საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევების ზრდა ახალგაზრდა ასაკის ქალებში. ამიტომ ძალზე აქტუალურია საშვილოსნოს ყელის კიბოს პროფილაქტიკის საკითხები – დროული დიაგნოსტიკა და მისი პრეკლინიკური ფორმების მკურნალობა.

***– რა არის საშვილოსნოს ყელი?***

– საშვილოსნო ქალის რეპროდუქციული სისტემის უმთავრესი ორგანოა. საშვილოსნო მდებარეობს მუცლის ქვემო ნაწილში, შარდის ბუშტსა და სწორ ნაწლავს შორის. შედგება ტანისა და ყელისაგან, რომელიც გადადის საშოში. საშვილოსნოს ყელს თავისი განსაკუთრებული როლი აქვს. ის ერთგვარი ბარიერია საშვილოსნოსა და გარემოს შორის. ნორმალური საშვილოსნოს ყელის სიგრძე 3-4 სანტიმეტრია, დიამეტრი – 2-3 სანტიმეტრი, ხოლო სისქე 1 სანტიმეტრია. ის შედგება კუნთოვანი შრისაგან, რომელიც მშობიარობის აქტში იღებს მონაწილეობას, ყელის არხისაგან, რომლის გამომფენი უჯრედები – ეგრეთ წოდებული ეპითელიუმი – გამოიმუშავებს ლორწოს, რომელიც ბარიერის როლს ასრულებს საშოსა და საშვილოსნოს შორის: ხელს უშლის ბაქტერიების შეღწევას საშვილოსნოს ღრუში. საშვილოსნოს ყელის საშოსმხრივი ნაწილი „გარემოსთან ურთიერთობის ძირითად კარიბჭეს“ წარმოადგენს. ალბათ, ამიტომაა, რომ ყველაზე ხშირად აქ ვითარდება პათოლოგიური პროცესები.

***– რა დაავადებები ახასიათებს საშვილოსნოს ყელს?***

– საშვილოსნოს ყელის დაავადებებია ეგრეთ წოდებული ფონური დაავადებები – პროცესები: საშვილოსნოს ყელის ეროზია ანუ წყლული, ფსევდოეროზია, ლეიკოპლაკია, პოლიპები, კონდილომები, საშვილოსნოს ყელის დისპლაზია ანუ კიბოსწინარე დაავადებები, საშვილოსნოს ყელის კიბო.

***– რა უწყობს ხელს საშვილოსნოს ყელის დაავადებებს?***

– საშვილოსნოს ყელის დაავადებების ხელშემწყობი რისკფაქტორებია სქესობრივი ცხოვრების დაწყება ადრეულ ასაკში, აბორტები და მშობიარობა ადრეულ ასაკში, ხშირი აბორტები და მშობიარობა, ბევრი სხვადასხვა სქესობრივი პარტნიორი, ხშირი – კვირაში 5-ჯერ და მეტად სქესობრივი ურთიერთობა სხვადასხვა პარტნიორთან, სქესობრივი გზით გადამდები არანამკურნალევი ინფექციები, თამბაქოს წევა, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, ჩასახვის საწინააღმდეგო ჰორმონული აბების ხშირი მიღება.

საყურადღებოა, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის კვლევა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნიდან ტარდებოდა. მაგალითად, მე-19 საუკუნის იტალიელმა და კანადელმა მკვლევრებმა დაადგინეს, რომ ეს დაავადება თითქმის არ უვითარდებოდათ ქალიშვილებსა და მონაზვნებს.

***– რას იტყვით საშვილოსნოს ყელის ფონურ დაავადებებზე?***

– საშვილოსნოს ყელის ფონური დაავადებები – პროცესები: საშვილოსნოს ყელის ეროზია ანუ წყლული საკმაოდ გავრცელებულია, შეადგენს გინეკოლოგიური დაავადებების 10-15%-ს. წარმოადგენს ყელის ლორწოვანი გარსის დაზიანებას, ვითარდება უხშირესად არხის მიმდებარე მიდამოში. ეროზიის წარმოშობის მიზეზი შეიძლება იყოს მექანიკური: ლორწოვანი გარსის მთლიანობის დარღვევა ხშირი აბორტების, მშობიარობის, ჩასახვის საწინააღმდეგო სპირალის ხანგრძლივად გამოყენების შედეგად და ჰორმონული: საერთო ჰორმონული ფონის დარღვევა ან ჩასახვის საწინააღმდეგო ჰორმონული აბების ხშირი გამოყენება, ასევე სქესობრივი გზით გადამდები არანამკურნალევი ინფექციები, განსაკუთრებით – ვირუსული წარმოშობის.

***– როგორ ვლინდება საშვილოსნოს ყელის ეროზია?***

– საშვილოსნოს ყელის ეროზია შეიძლება გამოვლინდეს შემდეგი ნიშნებით: მცირედი სისხლიანი გამონადენი საშოდან სქესობრივი კონტაქტის შემდეგ, ტკივილი სქესობრივი კონტაქტის დროს, მენსტრუაციის დარღვევა: გახანგრძლივება, ჭარბი გამონადენი, ჩირქოვანი გამონადენი საშოდან თანმხლები ინფექციის დროს.

***– რა არის ლეიკოპლაკია?***

– ლეიკოპლაკია არის მოთეთრო ლაქები ყელის ლორწოვან გარსზე, რასაც ეპითელიური უჯრედების გასქელება და „გარქოვანება“ იწვევს. ლეიკოპლაკია შეიძლება განვითარდეს ჰორმონული დარღვევის ფონზე, ყელზე მექანიკური და ქიმიური ნივთიერებებით – სამკურნალო საშუალებებით ზემოქმედების შედეგად, სქესობრივი გზით გადამდები არანამკურნალევი ინფექციის ფონზე. ლეიკოპლაკია, როგორც წესი, მიმდინარეობს უსიმპტომოდ. შეიძლება აღმოჩნდეს გინეკოლოგიური გასინჯვის დროს.

***– პოლიპებზე რას იტყვით?***

– პოლიპები მომრგვალო ფორმის, სხვადასხვა ზომის, გლუვი კონტურების მქონე წანაზარდებია საშვილოსნოს ყელის ლორწოვან გარსზე, უხშირესად ყელის არხში. მათი წარმოშობის მიზეზი ძირითადად უცნობია, თუმცა მის განვითარებას ხელი შეიძლება შეუწყოს ყელზე მექანიკური და ქიმიური ფაქტორების ზემოქმედებამაც.

***– რა არის კონდილომები?***

– რაც შეეხება კონდილომებს, ისინი საშვილოსნოს ყელის ვირუსული წარმოშობის – ადამიანის პაპილომა-ვირუსის მეჭეჭებია.

# სასამართლომ დემირელის კოლეჯის დაკავებულ მმართველ მუსტაფა ემრე ჩაბუქს 3-თვიანი წინასაექსტრადიციო პატიმრობა შეუფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ დემირელის კოლეჯის ერთ-ერთ მმართველ მუსტაფა ემრე ჩაბუქს 3-თვიანი წინასაექსტრადიციო პატიმრობა შეუფარდა.

აღნიშნულით სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

როგორც პროკურორმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, ჩაბუქს ბრალად შეიარაღებული ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა ედება, რაც მძიმე დანაშაულია და განგრძობადობა ახასიათებს.

მისივე თქმით, მუსტაფა ემრე ჩაბუქი თავს არიდებს გამოძიებას და, თურქული მხარისგან მოწოდებული მასალების თანახმად, მიმალვაში იმყოფება.

სახელმწიფო ბრალმდებლის პოზიციით, წინასაექსტრადიციო პატიმრობის გარდა სხვა აღკვეთის ღონისძიება ვერ იქნება საკმარისი ბრალდებულის დანაშაულებრივი ქმედებების გაგრძელების აღსაკვეთად.

დაცვის მხარე ჩაბუქისთვის





10.000-ლარიანი გირაოს შეფარდებას მოითხოვდა.

თბილისის დემირელის კოლეჯის ერთ-ერთი მმართველი მუსტაფა ემრე ჩაბუქი ტერორისტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ბრალდებით დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ჩაბუქის ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა განუცხადა, საუბარია ფეთჰულა გიულენთან დაკავშირებულ ამერიკაში რეგისტრირებულ ორგანიზაცია FETO-ზე, რომელიც თურქეთში ტერორისტულ ორგანიზაციად არის მიჩნეული. ადვოკატის აზრით, ბრალდება უსაფუძვლოა.

❖ ❖ ❖

დემირელის კოლეჯის თანამშრომლებს თურქი სამართალდამცველების მიერ მუსტაფა ემრე ჩაბუქისთვის წაყენებული ბრალი აბსურდულად მიაჩნიათ.

როგორც დემირელის კოლეჯის თანამშრომელმა სოფო ნიკურაძემ განაცხადა, დემირელის კოლეჯს ტერორისტულ ორგანიზაციასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

ნიკურაძის შეფასებით, მუსტაფა ემრე ჩაბუქი ორ ადამიანს შორის იდეოლოგიური დაპირისპირების მსხვერპლია.

– თურქეთში მიმდინარე მოვლენები ჩვენს ქვეყანაზეც აისახება. კერძოდ, საუბარია თურქეთის პრეზიდენტსა და ფეთჰულა გიულენს შორის არსებულ უთანხმოებაზე. ბრალდება ნამდვილად უსაფუძვლოა და ყველა აღშფოთებული ვართ, ჩვენი სკოლები ეროვნულ საქმეს ემსახურება და არანაირ ტერორისტულ ორგანიზაციასთან კავშირი არ გვაქვს, – განაცხადა ნიკურაძემ.

# მსუქან ავსტრალიელს შიშველმა ფოტოებმა პოპულარობა მოუტანა

ავსტრალიის ქალაქ ბანდაბერგის მცხოვრებმა ქალბატონმა სოციალურ ქსელ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელშიც ის კამერის წინ დედიშობილა პოზირებს. ფოტოსურათი სწრაფად გავრცელდა ინტერნეტში და ქალს პოპულარობა მოუტანა.



31 წლის კრისტალ გორდონმა მონაწილეობა მიიღო ეროტიკულ ფოტოსესიაში, რათა ამით საკუთარი სხეულით მოეწონებინა თავი. პირველი ბავშვის გაჩენის შემდეგ ქალი გასუქდა. ამის შემდეგ ის დიეტაზე დაჯდა, მნიშვნელოვან შედეგსაც მიაღწია და გადაწყვიტა, ეს ყოველივე ფოტოსურათზე აღებეჭდა, რომელზეც ის ბიკინიში იყო გამოწყობილი.

ინტერნეტის მრავალმა მომხმარებელმა სურათზე ნეგატიური რეაგირება მოახდინა. ქალის თქმით, მან უამრავი შეტყობინება მიიღო მოშურნეთაგან. ამის მიუხედავად, ის მიღწეულით არ დაკმაყოფილდა და მომდევნო ჯერზე სურათები დედიშობილამ გადაიღო. კრისტალი აპირებს, მომავალშიც საკუთარი მაგალითით გაამხნევოს ტანსრული ქალები და მათ მოუწოდებს, შეიყვარონ საკუთარი სხეული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

**26 მაისისათვის**



**ვერძი** – სითამამე მოიკრიბეთ და გადაწყვეტილების მიღებას ნუ დააყოვნებთ. მიენდეთ განსაკუთრებულად გამახვილებულ ინტუიციას. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა ნებისმიერი კონტაქტისათვის. იღბალი თქვენ მხარეს არის. **ტყუპები** – იზრდება სულიერი, შემოქმედებითი შესაძლებლობები. კარიერაში წარმატებაა მოსალოდნელი. **კირჩხიბი** – სამოგზაუროდ წასვლა, მივლინებები ან უბრალოდ ქალაქგარეთ დასვენება სასიკეთოა. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **ლომი** – ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ არასტაბილურია. იზრუნეთ პროფესიონალურ სრულყოფაზე. **ქალწული** – ბევრი საქმე გაქვთ. უკან ნუ დაიხევთ. წარმატება თქვენს სიმამაცეზეა დამოკიდებული. **სასწორი** – იაქტიურეთ კომერციული კუთხით. ნებისმიერი ფინანსური ოპერაცია იღბლიანი იქნება. **მორიელი** – ჭორიკანა და უსაქმური ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **მშვილდოსანი** – პოზიტიური ტენდენციები მძლავრობს. მიზნის მიღწევაში თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა დიდ როლს ითამაშებს. **თხის რქა** – პრობლემებს ნუ შეუშინდებით. იყავით აქტიური და გაბედული. რისკი გაამართლებს. **მერწყული** – უსარგებლო კამათში ნუ ჩაერთვებით. თქვენს მიმტევებლობასა და მიმნდობლობას არაკეთილმოსურნენი თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენებენ. **თევზები** – პროვოკაციული და აგრესიული დღეა. ოჯახში იზრდება დანაკარგების ალბათობა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ჯინისა და რომის გასაზავებელი უალკოჰოლო, გაზიანი სასმელი; 2. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 3. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 4. ჩრდილოეთ აფრიკის მოსახლეობის ძველი სახელწოდება; 5. ციმბირში გავრცელებული ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 7. პაბლო პიკასოს ანტიფაშისტური ფერწერული ტილო; 11. ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 12. გუნდებად მცურავი ზღვის წვრილი თევზი, ფართო რეწვის ობიექტი; 13. ლონდონის „არსენალის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 14. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 15. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 17. ეგრისის მეფე; 19. ფეხბურთელთა სპორტული ფეხსაცმელი.

**თარაზულად**: 5. ავადმყოფური მიდრეკილება გადაჭარბებული ლაპარაკისადმი; 6. ჰოლანდიელი ფილოსოფოსი; 8. ყურანის ცალკეული თავი; 9. პირველი გერმანული ოპერა; 10. რეგიონი კახეთში; 11. ხორბლის ქართული ჯიში; 13. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. მოედანი სამხედრო აღლუმებისა და სამწყობრო ვარჯიშებისთვის; 16. შიგაწვის ძრავის მოძრავი, ცილინდრული ნაწილი; 18. ბრმად, დაუსაბუთებლად მიღებული დებულება; 20. განცალკევებული საკანი ციხეში პატიმართა მკაცრად დასასჯელად; 21. მადრიდის „რეალის“ ფრანგი ფეხბურთელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „ორლი“; 2. ნუჟრი; 3. ივერი; 4. „ჯილდა“; 5. ვეზუვი; 6. თოთიბაძე; 8. მანჯგალაძე; 10. „კრიმანჭული“; 11. სამეგრელო; 14. შტირია; 15. „ბეტისი“; 16. „ოჰარა“.

**თარაზულად:** 1. ოწინარი; 4. ჯავახეთი; 7. ლიეჟი; 9. რიეკა; 12. გიურზა; 13. გნომა; 14. შოთაძე; 17. პლევრა; 18. ილუმინატორი; 19. ბენთოსი; 20. ჰაშიში.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „იამაჰა“; 2. იშხანი; 3. დრამერი; 4. ღერღედი; 5. ბალასტი; 7. კამბალა; 11. ჰააგა; 12. მართვე; 13. მაჰატმა; 14. პაიჭაძე; 15. შარადა; 17. დიბალა; 19. ვეძა.

**თარაზულად:** 5. ბომარშე; 6. მაღრაძე; 8. ნომი; 9. მეგრე; 10. სურამი; 11. ჰერა; 13. მასმედია; 14. პრაღა; 16. ადათი; 18. ლუარა; 20. ძირძიტა; 21. დუბლეტი.

# აკაკი შანიძის საიუბილეო გამოფენა ქუთაისშია



2017 წელს ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის აკაკი შანიძის 130 წლის იუბილე აღინიშნება. ამ თარიღთან დაკავშირებით ქუთაისში იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ეროვნული არქივის სხვადასხვა ფონდში, მათ შორის აკაკი შანიძის პირად ფონდში დაცული ფოტოები, წერილობითი დოკუმენტები და ხელნაწერები, რომელიც აკაკი შანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვან ეტაპებს ასახავს.

# პაატა ბურჭულაძე ახალგაზრდა საოპერო მომღერლებისთვის მოსმენებს აცხადებს



ქართველი საოპერო მომღერალი პაატა ბურჭულაძე რუსეთში ქალაქ სანკტ-პეტერბურგში მიხაილოვის სახელობის თეატრის საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა.

ოფიციალურად ამ თანამდებობაზე ქართველი ხელოვანი მუშაობას პირველი ივლისიდან შეუდგება, სექტემბერ-ოქტომბერში კი ახალგაზრდა საოპერო მომღერლებისთვის მოსმენებს გამოაცხადებს და ყველას მისცემს შანსს, მიხაილოვის სახელობის თეატრის საოპერო დასის წევრი გახდეს.

# მიშა სულუხია და გიორგი ჩიქოვანი დამოუკიდებლობის დღეს ოსლოში ხვდებიან



ორი ახალგაზრდა მომღერალი მიშა სულუხია და გიორგი ჩიქოვანი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ნორვეგიის ქალაქ ოსლოში ხვდებიან.

ერთი კვირის განმავლობაში ქართველ მომღერლებს ნორვეგიის სამეფო უმასპინძლებს. 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად საქართველოს საელჩოს ეგიდით ოსლოში კონცერტი გაიმართება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ჩინელმა ნიანგი ჯერ გაასეირნა და მერე შეწვა



ჩინეთის პროვინცია ლიაონინის ქალაქ შენიანის მცხოვრებმა საბელშებმული ნიანგით ჯერ ქუჩაში გაისეირნა, შემდეგ კი მისგან მწვადები შეწვა.

წებოვანი ლენტით პირაკრული ნიანგი ქუჩაში თავის პატრონს უკანა ფეხებზე შემდგარი მიჰყვებოდა. უჩვეულო სანახაობამ უამრავი ადამიანი მიიზიდა, ზოგიერთი გამვლელი კი რეპტილიასთან სურათის გადაღებასაც ცდილობდა.

ჩინელმა ნიანგი თავის სამწვადესთან მიიყვანა, რის შემდეგაც ცხოველი დაკლა და მისი ხორცი გასაყიდად შეწვა.

რეპტილია დაახლოებით მეტრ-ნახევარი სიგრძის იყო. ის გამოზარდეს ფერმაში, რომელიც ნიანგებს სახორცედ ამრავლებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილე ისრაელშიც აღინიშნება



უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილე საქართველოს ფარგლებს გარეთაც აღინიშნება.

ინფორმაციას მწერალი მანანა დუმბაძე ავრცელებს:

– შოთა რუსთაველის 850 წლის საიუბილეო თარიღს აღფრთოვანებით ეხმაურება ისრაელის ქართული თემი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ბატონი იაკობ ოფირის თაოსნობით 6 ივნისს ქალაქ ბათ-იამის „ეშქოლ ჰაპაისის“ საკონცერტო დარბაზში გაიხსნება რუსთაველისა და მისი უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილი კვირეული. მთელი კვირის განმავლობაში ღონისძიებებს დაესწრება საქართველოდან სპეციალურად ჩამოსული დელეგაცია სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტის, ბატონი დავით შემოქმედელის ხელმძღვანელობით. საღამოს მხატვრულ ნაწილს დაამშვენებს დუეტი „ელეგია“. ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალია.

# „ქართულმა გალობამ“ რჩეულები დააჯილდოვა

ფონდმა „ქართულმა გალობამ“ რუსთაველის თეატრში რიგით მეხუთე საიუბილეო დაჯილდოება-კონცერტი გამართა.

საიუბილეო საღამოზე გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციაში გამოვლინდნენ, ფონდმა კი მათ სპეციალურ ჯილდო, სიგელი და ფულადი პრემიები გადასცა.

დაჯილდოვდნენ ქართული კულტურის გამორჩეული მოღვაწეები: მარიამ მძელური საეკლესიო გალობაში, ამირან თურმანიძე, მარიამ ჭინჭარაული, ლილი აბდულიში, რაფიელ კოპალიანი, ჯუმბერ მუკბანიანი, ანსამბლი „ძირიანი“ ხალხურ სიმღერაში, თეიმურაზ ჯალაღონია გამოყენებით ხელოვნებაში, გაბრიელ გარაშვილი ზეპირსიტყვიერებაში, ანსამბლი „ფესვები“ ქორეოგრაფიაში, ხოლო რუსუდან წურწუმია დაჯილდოვდა როგორც ღვაწლმოსილი მეცნიერი.

# კოჯრის წმინდა გიორგის ეკლესიას საფრთხე აღარ ემუქრება





მთაწმინდის მუნიციპალიტეტის დაბა კოჯრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას საფრთხე აღარ ემუქრება. ტაძრის მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. მას პირვანდელი სახე თითქმის დაკარგული ჰქონდა, ფასადზე განადგურებული იყო საპირე წყობა, აყრილი იყო იატაკი და, რაც დრო გადიოდა, ვითარება კიდევ უფრო მძიმდებოდა. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდთან ერთად კოჯრის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის გადარჩენისა და რეაბილიტაციის სამუშაოები ჩაატარა, რის შემდეგაც აღდგა დასავლეთისა და სამხრეთის ფასადებზე კარის წირთხლები და თაღები ქართული აგურით, ასევე აღდგა დასავლეთის, აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ფასადზე საპირე წყობა კირის დუღაბზე, დასავლეთის, სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლებზე სარკმლის წირთხლები ქართული აგურით, დამონტაჟდა საბჯენი თაღის ქვები, აღდგა კამარა და კონქი, დამონტაჟდა ანტისეისმიური სარტყელი ტაძრის პერიმეტრსა და ფრონტონებზე, სახურავი მოეწყო მოთუთიებული თუნუქით, იატაკი მოპირკეთდა ნიჩბისის 5-სანტიმეტრიანი სისქის ბრტყელი ქვებით – ქართული წყობით და დამონტაჟდა ხელითონის კარ-სარკმლები.

დაბა კოჯრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია უკვე რეაბილიტირებულია და მას საფრთხე აღარ ემუქრება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ბრიტანულმა ოჯახმა სახლი ოთხ დღეში ააშენა



ბრიტანეთის ქალაქ ბრიდპორტში ბრიტანულმა ოჯახმა ოთხ დღეში ექვსსაძინებლიანი სახლის აშენება მოახერხა.

რიჩარდმა, ნიკიმ და მათმა ორმა შვილმა გადაწყვიტეს, ლონდონიდან დორსეტის საგრაფოში გადასულიყვნენ საცხოვრებლად. ოჯახმა იქ საკუთარი გემოვნების შესაფერისი სახლი ვერ მოძებნა და გადაწყვიტა, თავად აეშენებინათ. ოჯახი მშენებლობისთვის მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა მასალების გამოყენებასა და სახლის მოკლე დროში აშენებას გეგმავდა.

პანელები სახლის კარკასისთვის ფირმამ, რომელიც ბავარიაში მდებარეობს, ადრევე დაამზადა. ოთხ დღეში ტერიტორიაზე დაიდგა სამსართულიანი სახლი თავისი სახურავით. აპარტამენტები გარშემორტყმულია ტყით, ხოლო ეზოში განთავსებულია აუზი. შედეგად ოჯახურმა წყვილმა სახლის აგებაზე 1,2 მილიონი ფუნტი სტერლინგი (1,5 მილიონ დოლარზე მეტი) დახარჯა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# არდავიწყება მოყვრისა...



ოთარ მექვაბიშვილი | გიორგი მაისურაძე | ცოტნე ფირცხალავა | გიორგი ახმეტელი | მერი მექვაბიშვილი

ასოციაცია „მესხეთი-2001“-ის პრეზიდიუმმა, მექვაბიშვილების საგვარეულოს გამგეობამ და საზოგადოებამ „გავამწვანოთ თბილისი“ ჩაატარეს გაერთიანებული სხდომა. მათ განიხილეს მიმდინარე საკითხები, რაც კი წამოიჭრა მესხეთში. ამასთანავე ისინი არ ივიწყებენ იმ ადამიანებს, ვინც წლების მანძილზე ღირსეულად ემსახურებოდა ამ გაერთიანებათა მიერ განხორციელებულ საქმეებს.

და აი, ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის 24 მაისს ჩატარებულ სხდომაზე გაიხსენეს სწორედ ის სამაგალითო წევრები, რომლებიც სამწუხაროდ ცოცხლები აღარ არიან.

მათ შორისაა: მერი მექვაბიშვილი, გიორგი ახმეტელი, ცოტნე ფირცხალავა, გიორგი მაისურაძე და ოთარ მექვაბიშვილი.

ამ ღონისძიებას არაერთი ადამიანი დაესწრო.

შეკრება შეაჯამა პროფესორმა ამირან მექვაბიშვილმა.

**ნანა კირკიტაძე**

# სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ინა, შვილები ივა და მაია წერეთლები, სიძეები გია ლაცაბიძე და გია მესხიშვილი, შვილიშვილები გურამ, ანრი, მარიამ, ძმები ვახტანგ, ავთანდილ, ზურაბ წერეთლები ოჯახებით იუწყებიან

**გურამ წერეთლის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 26, 27 მაისს, 16 საათზე;
დაკრძალვა: 28 მაისს, 14 საათზე;
მისამართი: ცოტნე დადიანის 21/23.

ძმები ვახტანგ, ავთანდილ და ზურაბ წერეთლები ოჯახებით იუწყებიან ძმის

**გურამ წერეთლის**

გარდაცვალებას.

ძმისშვილი ვახტანგ წერეთელი, მეუღლე ქეთა ჯაფარიძე იუწყებიან ბიძის

**გურამ წერეთლის**

გარდაცვალებას.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

**პარასკევი 26 მაისი**

**07.00** დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" **08.00** "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** "მოამბე დილას" **10.00** "პირადი ექიმი" **11.00** "მოამბე" - სპეციალური გამოშვება **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **13.40** "კაცების დრო" **14.00** "ყველა კითხვა" **15.00, 02.30** "C სტუდია" **16.15** "ეკონომეტრი" **16.30** "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" **17.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **18.30** "ხანმოკლე XX საუკუნე" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00 26** მაისისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი **23.00** ქართული მხ/ფ **00.30** მხ/ფ "**თვალსა და ხელს შუა**" (ჯ.ლოპეზი)

**08.00** დოკ/ფ "ბერები ლაბორატორიაში" **09.00** ქართ. დოკ/ფ "რუსთაველის ნაკვალევზე" (რეჟ. გ. პატარაია) **10.00** "გეოფაქტორი" **10.15, 15.45** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **12.00, 22.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** მხ/ფ "**დიდი ვალდო პეპერი**" (რ. რედფორდი) **16.30** გურამ ბზვანელის **80** წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტი **18.15** მხ/ფ "**კასაბლანკა**" (ი.ბერგმანი) **20.00** "მოამბე" **20.40** "ბრიფინგის დრო" (მიმდინარე დღის) **21.00** "ეპიცენტრი" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** მხ/ფ "**სოლისტი**" (ჯ. ფოქსი)

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.45** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** მხ/ფ "**ვახშამი სულელებთან**" **01.35** მხ/ფ "**ტრანსფორმერები**" **04.00** მხ/ფ "**მოწმე**"

**06.00** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.30** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **34 00.00** სერ. "**სამშობლო**" **7** დოკ/ფ "პირველი რესპუბლიკა"

**08.00** ან/სერ. ავატარი **09.00, 13.00** სერ. "**შავი კოდი**" **11.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **19.00** სერ. "**გაბოროტებული**" **21.00** სერ. "**ანგარიშსწორება**" **22.30** მხ/ფ "**პიკის საათი 1-2-3**" **03.50** მხ/ფ "**თავისუფლების დევნაში**"

**06.15** კვირიაკე **07.10** დ/ფ "ველური ბუნება" გრძელფეხა მოსიარულე არწივი **07.35** წმინდანები "ღირსი მამა ექვთიმე ათონელი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.40** თბილისის ტაძრები "ლურჯი მონასტერი" **10.45** ძველი აფიშა "ვახშმობის წინ" **11.20** "ერთსულოვანი ოჯახი" ბურჯალიანები **12.10** მხ/ფ "**ივანანა**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** ბავშვები მუზეუმში **15.10** ქართული ან/ფ **15.20** სამყაროს შექმნა **15.30** სად უჩინარდებიან ჩემპიონები "ნიკოლოზ დერიუგინი" **15.50** კონცერტი **16.45** ჩვენი ფონდი-ეკა დულაშვილი"-ექვთიმე ათონელი" **17.05** დ/ფ "წუთი დიდი დრო ყოფილა..." **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ჩვენი ეზო**" **20.40** ძილი ნებისა "მონადირე" **20.55** შვიდგზის ლოცვა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.05** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "კავთურის ხეობა" **1 23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ღვთის სახლი "ლორე, ტაშირი" **00.30** ისტორიის დღიური **00.35** მგზავრები წუთისოფლისა **01.00** დ/ფ "საქართველოს სიმებიანი კვარტეტი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "კბილის ფერიები" **8.15** დოკ/ფ "კაცი,ქალი,ბუნება" **9.00** სერ. "**ორი გული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 2.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **23.00** სერ. "**ესკობარი**" **0.00** "კონტაქტი" **0.30** სერ. "**პაემანი**" **2.00** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**26 მაისისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4076

ევრო — 2.6927

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1215

100 რუსული რუბლი — 4.2663

**ამინდის პროგნოზი 26 მაისისთვის**





## 18 მაისიდან

თეოდორ დრაიზერი

## ამერიკული ტრაგედია

I ნაწილი




**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**



## 25 მაისიდან




თეოდორ დრაიზერი

## ამერიკული ტრაგედია

II ნაწილი

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**


## კრიშტიანო რონალდუ კონფედერაციის თასზე ითამაშებს



პორტუგალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რენატუ სანჩესმა ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც კონფედერაციის თასზე ითამაშებს. აღსანიშნავია, რომ ამ სიაში მოხვდა პორტუგალიელების მთავარი ვარსკვლავი კრიშტიანო რონალდუ, რომელიც ამ ტურნირში მონაწილეობას მიიღებს.

რონალდუს თამაში უდავოდ სასიხარულოა ტურნირის ორგანიზატორებისთვის, რადგან გერმანიის ნაკრებმა ბევრი ლიდერი დაასვენა და ისინი კონფედერაციის თასზე არ იქნებიან. კონფედერაციის თასი რუსეთში ჩატარდება და ის სტარტს 17 ივნისს აიღებს, ხოლო ფინალური მატჩი 2 ივლისს გაიმართება.

## ნიკოლოზ ბასილაშვილი ლიონის ტურნირის ნახევარფინალშია



ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა ლიონის ტურნირზე კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად ნიკამ მეოთხედფინალში არგენტინელი ნიკოლას კიკერი დაამარცხა ანგარიშით 6:3, 6:1 და ეს ძალიან ადვილად, ორ სეტში გააკეთა.

ბასილაშვილი ლიონში ძალიან კარგად თამაშობს და ამ ტურნირის შემდეგ ის მსოფლიო რეიტინგში საგრძნობლად აიწევს მაღლა.

ამჟამად ბასილაშვილი 71-ე პოზიციას იკავებს. გარდა ამისა, ნიკას აქვს შანსი, გახდეს პირველი ქართველი ჩოგბურთელი, რომელიც ატპ-ის ტურნირს მოიგებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი



ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ორმოცის ვხდები და თავს თვრამეტი წლის ყმაწვილივით ვგრძნობ!

– ისევ ისეთივე მხნე, ენერგიული და ამბიციური ხარ?

– არა, ისევ უბინაო, უფულო და უმუშევარი...

●●●

ერთი მეგობარი შეხვდა მეორეს და გაოცებული ეკითხება:

– რა მაგრად გამოწყობილხარ, ვისია მაი კოსტიუმი?

– პიერ კარდენის.

– მაი „საროჩკა“?

– პიერ კარდენის.

– რაია შე შობელძაღლო, მთლად დაკარგე ნამუსი?

– რატომ?

– თლათ ტიტველი დატიე კაცი?

●●●

პოლიციელმა ქალი გააუპატიურა.

პოლიციელი გაუპატიურებისთვის გაასამართლეს.

ქალი პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის.

●●●

კაცს ნაცნობი ესტუმრა. მასპინძელმა შესანიშნავი სუფრა გაუშალა. სტუმარი გამოთვრა და სახლში წასვლას ვერ ხვდება, ბოლოს სიმღერა დაიწყო:

– ვაი, ველარ ვხედავ მზეესს...

– ვერც ჭიშკარს?

●●●

კაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ყველა გიჟს მეძახის და მიშველე რამე.

– რატომ გეძახიან?

– სოსისების სიყვარულისთვის.

●●●

– გულს ნუ გაიტეხთ, ცხოვრება 50-ის მერე იწყება.

– წლის?

– მილიონი დოლარის.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინდელი ქორწილის შემდეგ მივხვდი, რომ სასმელი თავში ყველაზე მაგრად მაშინ გირტყამს, თუ ის ბოთლში ასხია.

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– რისთვის უყურებ კულინარიულ გადაცემებს? საჭმლის გაკეთება მაინც ვერ ისწავლე!

– შენ რატომღა უყურებ პორნოფილმებს?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.








## 23 მაისიდან

ლაშა იმედაშვილი

## სამი მკვლელობა ძველ თბილისში

ქართული დეტექტივი ტომი 13

## პატრიარქის ზაფხული

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**


## მამაკაცების ჟურნალმა წლის ყველაზე სექსუალური ქალი დაასახელა



მამაკაცების ჟურნალმა Maxim-მა ამერიკელი მოდელი და მსახიობ სტივენ ბოლდუინის შვილი ჰეილი 2017 წლის ყველაზე სექსუალურ ქალად დაასახელა. გოგონას ფოტოსურათი სოციალურ ქსელ ინსტაგრამში გამოცემის გვერდზე გამოქვეყნდა.

20 წლის ჰეილი ჟურნალის ყოველწლიურ რეიტინგს ჩაუდგა სათავეში. ჟურნალის ნომერი, რომლის გარეკანს გოგონას სურათი დაამშვენებს, ივნისში გამოვა. რეიტინგში ასევე მოხვდნენ მსახიობი მარგო რობი, მომღერალი კეტი პერი, ზოი კრავიცი, მანეკენები ბელა და ჯიჯი ჰადიდები და ალისია ვიკანდერი.

ჰეილი სტივენ და კენი ბოლდუინების ქალიშვილია. მას ჰყავს და ალაია. გოგონა თანამშრომლობს საერთაშორისო სამოდელო სააგენტო IMG Models-თან. ინსტაგრამში მოდელის გვერდს 10,2 მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

ჟურნალ Maxim-ის გასული წლის რეიტინგს სათავეში სუპერმოდელი სტელა მაქსველი ედგა. მაშინ 26 წლის ახალზელანდიელმა განაცხადა, რომ საკუთარ გამარჯვებას ის საკუთარ ოპტიმიზმსა და პოზიტიურ ენერგეტიკას უმადლის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ლუის სუარესმა ვარჯიშზე ტრავმა მიიღო



ბარსელონის ურუგვაელმა ფორვარდმა ლუის სუარესმა ერთ-ერთ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო, რის გამოც მას დაახლოებით 2 კვირა მოუწევს ფეხბურთისგან დასვენება. აღსანიშნავია, რომ ესპანეთის თასის ფინალს, რომელიც 27 მაისს გაიმართება, ლუის სუარესი ისედაც გამოტოვებდა, რადგან დისკვალიფიკაცია ჰქონდა.

ამრიგად, სუარესისთვის სეზონი დასრულდა, ბარსელონას კი ერთი შეხვედრა დარჩა ჩასატარებელი თასის ფინალში ალავესთან.

ბარსელონა ამ მატჩის უდავო ფავორიტად ითვლება. ეს შეხვედრა ბარსელონის მწვრთნელ ლუის ენრიკესთვის უკანასკნელი იქნება.

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება თბილისში; 2. ვაშლის ღვინო; 3. ისტორიული ქალაქი სირიაში; 4. მეოთხე საუკუნის მონასტერი ხაშურის რაიონში; 5. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 6. ავადმყოფობის შემობრუნება, განმეორება; 8. ტერიტორია, სადაც იძულებითი წესით არის დასახლებული მკვიდრი მოსახლეობა; 10. ისტორიული ციხე-ქალაქი სენაკის რაიონში; 11. დიდი ზომის მორბენალი ფრინველი; 14. შემაგრებული ესპანური ღვინო; 15. ზღვის წვრილი თევზი, ფართო რეწვის ობიექტი; 16. ლეონ კავალოს ოპერა „ჯამბაზების“ პერსონაჟი.

**თარაზულად**: 1. იტალიური სადესერტო ღვინო; 4. ისტორიული სოფელი მცხეთის მახლობლად; 7. ჰაერში ასაშვები მეტეოროლოგიური ბურთი; 9. ძვირფასი ლითონების წონა მონეტაში; 12. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 13. მდინარის ხეობა გაგრის რაიონში; 14. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 17. დიდი ციმბირული ირემი; 18. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ეგვიპტეში; 19. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 20. გეომეტრიული ფიგურა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

